ჩვენი რედაქცია ახალ მისამართზეა: მაჩაბლის 7. ტელ. 2 93 37 87.

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 აპრილი, 2015 წელი.

№75 (7720)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ხელისუფლების გასაგონად!..

„მაჩვენე, რომ მართლაც ცდილობდი საკითხის გადაჭრას, დამარწმუნე, რომ მართლაც ცდილობდი დაპირებების შესრულებას, ჩამომითვალე ღიად ის მიზეზები, რაც ხელს გიშლიდა მუშაობაში, დაასახელე ხელშემშლელი პირები და მერე დავასკვნი, რომ მართლაც ცდილობდი და ვერ შესძელი. ამით შენი სახელი და აბრუ უფრო გამყარდება“.

3

ნაციონალების სპექტაკლი გურჯაანში

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ის, რაც გურჯაანში მოხდა, ნაციონალური მოძრაობის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ძალიან სამწუხარო იყო ის, რაც იხილეს, **„მაგრამ მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პროვოცირებული იყო ე.წ. ოპოზიციის მხრიდან. ძალიან ცუდია, რომ ასე უხეშად, ასეთი დესტრუქციული მეთოდებით სცადეს რაიონის გამგეობის მუშაობის შეფერხება და პარალიზება. სამწუხაროა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის რეაქცია იყო საკმაოდ მძაფრი და მწვავე, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა პირობებში ცხოვრობდა მოსახლეობა. ასე, რომ ეს რეაქცია არის ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ მეორე მხრივ, მათი ეს აგრესია არის გასაგები“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა მოუწოდა როგორც ოპოზიციის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ასეთი მძაფრი გამოხატულებებისგან.

„ეს არ წაადგება ჩვენს ქვეყანას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ჩვენ ვემზადებით რიგის სამიტისთვის. ზოგადად ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა რაიონში, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე იყოს სიმშვიდე და სტაბილურობა“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ოპოზიციას თუ რაიმე კითხვები აქვს და მართლაც გულწრფელები არიან, არსებობს შესაბამისი უწყებები და მათ შეუძლიათ მიმართონ.

„ამხელა ალიაქოთი, რა თქმა უნდა, არის ხელოვნური, არავითარი ნეპოტიზმის და კორუფციის ფაქტები იქ არ არის. თუ არის მსგავსი რამ, ამას შეისწავლიან და მოახდენენ რეაგირებას შესაბამისი უწყებები, ეს ყველაფერი არის დადგმული სპექტაკლი, მათი სურვილი და ამოცანა არის როგორმე შეაფერხონ და პარალიზება მოახდინონ ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის. ვიმეორებ, რეაქცია იყო მწვავე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ მართლაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ხალხის აგრესია შეგვეჩერებინა. მზად ვართ, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ ჩვენს ამომრჩევლებს, მხარდამჭერებს, რომ მაქსიმალურად შეინარჩუნონ სიმშვიდე“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ათასი ლარი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს

ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები სახელმწიფოსგან 1000-ლარიან დახმარებას მიიღებენ.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

„საქართველოში დღეისთვის გვყავს ომის 1800 მონაწილე და 500 მოქალაქე, რომელსაც მარჩენალ-დაკარგულის სტატუსი აქვს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ამ კონკრეტული ინიციატივისთვის 2 მილიონ ლარამდე თანხას გამოყოფს. როგორც ცნობილია, შარშან ომის ვეტერანებისთვის 400 ლარი გამოვყავით, მარჩენალდაკარგულებისთვის კი — 200 ლარი, მაშინ, როდესაც წინა წლებში ომში მონაწილეებს მხოლოდ 200-ლარიანი დახმარება ეძლეოდათ. თქვენ შეგიძლიათ, დარწმუნდეთ, რამდენად დიდია განსხვავება და რამდენად ვაფასებთ მათ წვლილს ამ დიდ გამარჯვებაში. რა თქმა უნდა, ამით მათი ყველა პრობლემა ვერ მოგვარდება, მაგრამ ვფიქრობთ, მიეცემათ შესაძლებლობა, ფაშიზზმე გამარჯვების 70 წლისთავს ღირსეულად შეხვდნენ“, — აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

სოსო ჯაჭვლიანი:

ხელების ფათური და ტენდერები იქით მოიკითხონ - სპორტის სამინისტროსაც ვგულისხმობ, ჩემს გუნდსაც და ოპოზიციასაც

6

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საზეიმო ღონისძიებები სამხედრო აღლუმის ნაცვლად

საქართველოს მთავრობამ 9 და 26 მაისის აღნიშვნის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. როგორც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმი არ იქნება, თუმცა, გაიმართება საზეიმო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობის საშუალება ყველა მოქალაქეს ექნება.

„საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება საშუალება, მონაწილეობა მიიღოს როგორც 9 მაისს, ისე 26 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებში. ვფიქრობ, ორივე თარიღი სახელმწიფო ზეიმის ტოლფასი გახდება. 26 მაისს აღლუმი არ იქნება, მაგრამ იქნება ფიცის დადების ცერემონია, რისი ტრადიციაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენ დავამკვიდრეთ და თავისუფლების მოედანზე გაიმართება“, — განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება მოეწყობა, მათ შორის, რუსთაველის გამზირზე განლაგებული იქნება ყველა სამინისტრო თავიანთი პროექტებით.

„ღონისძიებების ფარგლებში მოეწყობა სახალხო სერინობა — ზეიმი, რომელიც შარშან და შარშანწინაც გაიმართა. რუსთაველის გამზირზე ისევ იქნება განლაგებული სამინისტროები თავიანთი პროექტებით, ასევე მოეწყობა სხვადასხვა გასართობი ღონისძიება. საღამოს პარლამენტის შენობასთან დაგეგმილია დიდი კონცერტი. გამოყვანილი იქნება სამხედრო ტექნიკაც და გამოიფინება ისტორიული კოსტიუმები, ასე რომ, ვფიქრობ, ნამვილად კარგი ზეიმი გამოვა“, — აღნიშნა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, რომლის ინფორმაციითაც, თბილისის გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ყველა თვითმმართველ რეგიონში იგეგმება.

საქართველოს დამოკიდებლობის დღეს — 26 მაისს სამხედრო აღლუმი უკვე მესამე წელია, აღარ იმართება.

◎ საქმე დროულად მისახედია!

ეს ქართული წიგნის ყველა ქომაგის მოთხოვნაა!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს

მოგეხსენებათ, 2018 წელს საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე. ეს არის ყველაზე მასშტაბური ღონისძიება, სადაც ამ სტატუსით მონაწილეობა გულისხმობს: ქართული მწერლობისა და ზოგადად, ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩენას. მოვლენას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც — ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას და გაზრდის ინტერესს ჩვენი ქვეყნის მიმართ.



ამისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი გამომცემლობების მხარდაჭერა და გაძლიერება.

ეს კი შეუძლებელია იმ პირობებში, როცა ბოლო ორი წლის მონაცემებით:

— გაკოტრდა ან გაკოტრების პირასაა ქართული გამომცემლობების მნიშვნელოვანი ნაწილი.

— დაიხურა მცირე და საშუალო პოლიგრაფიული საწარმოები (სტამბები), უმუშევარი დარჩა ასეულობით ადამიანი.

— გაძვირდა მხატვრული, შემეცნებითი და სამეცნიერო ლიტერატურა, საგრძნობლად შემცირდა წიგნების ტირაჟები.

— დაიხურა რამდენიმე წიგნის მაღაზია თბილისსა და რეგიონებში.

— გასული საუკუნის 90-იანი წლების მსგავსად, შავ ბაზარზე ისევ გაჩნდა აღურიცხავი და კონტრაფაქციული წიგნები.

ამ სავალალო და საგანგაშო მდგომარეობის მიზეზი, რომელშიც ამჟამად იმყოფება ქართული წიგნი, დიდწილად ის არის, რომ უკვე ორი წელია, განათლების სამინისტრო ითვისებს ქართველი ავტორებისა და გამომცემლების ინტელექტუალურ საკუთრებას და უკანონოდ ბეჭდავს სასკოლო სახელმძღვანელოებს ტენდერის გარეშე შერჩეულ, განათლების სამინისტროს მიერ ლობირებულ სტამბებში. შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან გამომცემლობებთან კომუნიკაციის უგულებელყოფის გამო იხარჯება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო თანხები.

წიგნი, როგორც კულტურის სახე და პრესტიჟი, საზოგადო, საერთო ეროვნული მოვლენაა და არა მხოლოდ კერძო ინტერესის საგანი. სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლები სახელმწიფო სუბსიდიებს არასოდეს იღებდნენ და არც ითხოვდნენ. ამიტომაც არის საჭირო და აუცილებელი, მათ დავუტოვოთ ის, რაც ჯანსაღი კონკურენციის შედეგად მოიპოვეს, და რამაც, კულტურული თვალსაზრისით, გაამართლა (წლების განმავლობაში იბეჭდებოდა არაკომერციული სამეცნიერო, მხატვრული, შემეცნებითი ლიტერატურა, არაქართულენოვანი სკოლების სახელმძღვანელოები).

ეს არა მარტო ჩვენი, არამედ ამ საქმით დაინტერესებული ფართო სექტორის — ავტორების, მესტამბეების, წიგნის გამავრცელებლების, საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო ქსელის მუშაკების — და ქართული წიგნის ყველა ქომაგის მოთხოვნაა.

გამომცემლობა „არტანუჯი“ ზვიად კვარაცხელია; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თინათინ მამულაშვილი; გამომცემლობა „დიოგენე“ თამარ ლებანიძე; გამომცემლობა „ინტელექტი“ კახმეგ კუდავა; გამომცემლობა „მერიდიანი“ კახაბერ რუსიძე; გამომცემლობა „პედაგოგიკა“ ირინა რუხაძე; გამომცემლობა „სიესტა“ ძეთევან კილურაძე; გამომცემლობა „სწავლანი“ ნინო ნაკუდაშვილი; ქარჩხაძის გამომცემლობა გია ძარჩხაძე.

23 აპრილი, 2015
წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე.

◎ შაბათიდან შაბათამდე

რეიტინგს დახარბებული ტურები

წინა კვირამაც, ზუსტად ისე, როგორც სხვა დანარჩენმა 2030 წლის მოახლოების „პოზიტიური განცდით“ გაიარა.

ცხადია, რომ ამ მოლოდინს ნაციონალური მოძრაობა არანაირად არ ეთანხმება და ცეკვა „აჭარულის“ ცუდი შემსრულებელივით სურს, ჩაუხტეს სხვა მოცეკვავეებს. სამწუხაროდ, ხალხი ამ პოლიტიკური ტაშფანდურისგან ვერანაირ სიამოვნებას ვერ იღებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს, როგორმე გადაირჩინოს თავი არამკითხე მოამბეებისგან.

ნაციონალების თავხედობა არახალია, მაგრამ მათ მიერ „წამოყენებული“ ინიციატივა ნეპოტიზმსა და კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, ტრაგიკულობას კარგა დიდი მანძილით გასცდა და უკვე სასაცილო გახდა.

გურჯაანელების იუმორი საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ როგორც ჩანს ისინი ვერ „ჩაწვდნენ“ ნაციონალების ამ „ღრმა“ ხუმრობას და კორუფციასა და ნეპოტიზმთან „მებრძოლი“ ნაცები სულ ლაყე კვერცხების სროლით გამოაბუნძულეს რაიონიდან.

ნაციონალებმა 24 აპრილს 10000-კაციანი აქცია დააანონსეს. გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელობამ მიუხედავად განაცხადის ვადების დარღვევისა, მაინც დართო სტადიონზე შეკრების ნება „პროტესტის გამოხატვის ჟინით შეპყრობილ“ „მიშმაკებს“. იმ მოტივით, რომ გამგეობის წინ ასეთი რაოდენობის ხალხი ვერ დაეტეოდა. ნაცებმა იუკადრისეს და საერთოდ განაცხადეს უარი აქციის ჩატარებაზე.

არადა საინტერესო იქნებოდა რამდენ კაცს მიიყვანდნენ აქციაზე ნაცები გურჯაანში, რადგანაც თუ გავიხსენებთ 21 მარტის აქციას, მათ მთელი რესურსის მობილიზების მიუხედავად, თბილისში 8000 კაციც ვერ შეკრიბეს.

ძალიან დიდი საქმე გააკეთა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ. საქართველოს 200000 მოქალაქეს მიეცა საშუალება განიკურნოს C ჰეპატიტისგან.

„დღევანდელი ხელმოწერის შემდეგ ასი ათასობით მოქალაქე ამ დაავადებისგან განიკურნება და ჩვენ ვიქნებით, ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ეს პრობლემა მთლიანად აღმოიფხვრება. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა მედიკამენტების მწარმოებელ კომპანია „გილეადს“ — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 21 აპრილს ურთიერთგაგების მემორანდუმზე საქართველოს მთავრობასა და კომპანია „გილეადს“ შორის ხელმოწერის ცერემონიალზე.

მართლაც შესანიშნავი საქმე გაკეთდა, მაგრამ როგორც ყოველთვის „გამოხტნენ“ ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაფერში ცუდს, საიდუმლო გეგმებს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ხედავენ.

„საექსპერიმენტო კურდღლებად გვიყენებენ“, „უნდათ საბოლოოდ გაგვუუჟონ“, „ამერიკა უფასოდ რას მოგცემს“ და სხვა მსგავსი განცხადებები ვრცელდებოდა როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე პრესის საშუალებითაც.

მინდა, მივმართო ხელისუფლებას: ნუ მიაქცევთ ყურადღებას მსგავს სისულელეებს და იმოქმედეთ ანდაზის „ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის“ შესაბამისად.

საოცარი იყო უფლებადამცველი ნანა კაკაბაძის განცხადებაც, რომელიც აბსოლუტურად იყო ამოვარდნილი მიმდინარე პროცესების კონტექსტიდან და რამდენიმე საკმაოდ სერიოზული შეკითხვა გააჩინა.

„ძალიან სერიოზული ზეწოლის შედეგად, კომისიას ამოაღებინეს კოჭოიას საქმე, რომელიც თვალსაჩინო ნიმუში იყო პოლიტიკური დევნისა.

ამ საქმის ამოღება ამერიკის საელჩოს უშუალო ჩარევით მოხდა. ისეთი ადამიანები დატოვეს ციხეში აგენტობის ბრალდებით, რომელთაც არათუ დანაშაულთან ჰქონდათ შეხება, არამედ საკუთარი სახელის და გვარის წერაც კი არ იცოდნენ.

ეს ადამიანები 20 და 25-წლიანი სასჯელებით დატოვეს ციხეში და პოლიტპატიმართა სიიდან ამოგვაღებინეს. ჩვენ ეს გავაპროტესტეთ. მაგრამ პირდაპირ იყო ულტიმატუმი ამერიკის საელჩოს მხრიდან, ან ამოიღებთ ამ საქმეებს ან მთლიანად სია ჩავარდებაო“ — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

უკაცრავად ქალბატონო ნანა, ვერ გავიგე თუ რას ნიშნავს ფრაზა: **„პირდაპირ იყო ულტიმატუმი ამერიკის საელჩოს მხრიდან, ან ამოიღებთ ამ საქმეებს, ან მთლიანად სია ჩავარდებაო“!**

ამ განცხადების შემდეგ, ქალბატონმა ნანა კაკაბაძემ აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. ახლა რატომ ასაჯაროებს ზეწოლის ამ ფაქტს?

2. როგორი ფორმით მოხდებოდა „სიის ჩავარდნა“, ანუ რა მექანიზმებს გამოიყენებდა საელჩო?

3. არის თუ არა ეს განცხადება ამერიკის დისკრედიტაციის მცდელობა?

დიახ, მესამე შეკითხვა სწორედ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ისტერია, თითქოსდა საქართველო ამერიკის საექსპერიმენტო ლაბორატორიაა, ჩაცხრა.

ეს საკმაოდ სენსიტიური თემაა, რადგანაც მსგავსი განცხადებები იმ ფონზე, როდესაც ნაცების რუპორი გიორგი კანდელაკი და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციებში ყველანაირად ცდილობენ დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციას.

ძალიან არ მინდოდა შევხებოდი ამ თემას, მაგრამ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერით გასულ „მაიკო ასათიანის შოუში“, რომელიც ყველასთვის საყვარელ მსახიობ კოტიკო თოლორდავას მიეძღვნა, წამყვანის ერთმა ამაზრზენმა ფრაზამ, ამ ტელეკომპანიის ყველა სიბინძურე გადაფარა.

მაია ასათიანმა ვითომდა მწუხარებით განაცხადა, რომ კორექტულობის გამო, ის არ ისაუბრებდა მსახიობის გარდაცვალების ნამდვილ მიზეზზე, მაგრამ შემდგომ გადაცემებს მიუძღვნიდა საქართველოსთვის უდიდეს პრობლემად ქცეულ ამ თემას.

ე.წ. ტელეწამყვანის ვითომდა მგრძნობიარე სახის მიღმა, ძალიან ნათლად გამოჩნდა რეიტინგს დახარბებული ტურა, რომლისთვისაც ყველაფერი ადამიანური უცხოა. მან, ფაქტობრივად, დაადასტურა ის ჭორები, რომლებიც ამ ტრაგედიის შემდეგ თბილისში გავრცელდა.

მოკლედ რომ ვთქვა, „რუსთავი-2“-მა და ამ გადაცემის ავტორმა კიდევ ერთხელ გამოაჩინეს ის აფთრული ბუნება, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ამდენი წლის განმავლობაში ნერგავდა ქართველ საზოგადოებაში და რომელსაც საქართველომ დიდი ხანია, უარი უთხრა.

მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოში, ბელარუსის პრეზიდენტის უაღრესად პოზიტიური ვიზიტიდან დაწყებული, ე.წ. არასამთავრობოების წიწკვინით გაგრძელებული და საქართველოს პრეზიდენტის გაურკვეველი ადგილსამყოფელით დამთავრებული, მეტს აღარაფერს დავწერ.

დაველოდოთ კიდევ ერთი კვირა და შემდეგ ვისაუბროთ განვითარებულ მოვლენებზე.

გია გაბრიჭიძე

ფიქრები ხმამაღლა, ხელისუფლების გასაგონად!..

სამწუხაროა, რომ პოლიტიკოსებმა და სამთავრობო ჩინოვნიკებმა თითქმის სრულიად დაივიწყეს სიტყვა „თვითკრიტიკა“ და მისი მნიშვნელობა. შევახსენებ მათ: თვითკრიტიკა ნიშნავს საკუთარი მუშაობის, ქცევის განსჯას უარყოფითი მომენტების გამოსავლენად, ნაკლოვანებათა აღიარებას მათი გამოსწორების მიზნით.

დღეს ყველა ჩინოვნიკი და სახელისუფლებო პოლიტიკოსი, ვინც კი საჯაროდ გამოდის, აცხადებს, რომ ენერგიულად მუშაობს, დღეს და ღამეს ასწორებს, ქვეყანასა და ხალხზე ფიქრით არ სძინავს (ან თუ სძინავს, მხოლოდ სამსახურში!) და რატომღაც მოსახლეობა მათ გაკეთებულს მაინც არ (ვერ) ხედავს, მთავრობას ამდენ შრომას არ უფასებენ. ამავე დროს ძალიან იშვიათად მინახავს, ან საერთოდ არ მომისმენია და არ წამიკითხავს, რომ რომელიმე სახელისუფლო პოლიტიკოსს საკუთარი საქმიანობის კრიტიკული ანალიზი გაეკეთებინოს და ეთქვას – ხალხო, ბოდიშს გიხდით, შეგპირდით, სიტყვა მოგეცით, ამას და ამას გავაკეთებდით, მაგრამ პატიებას გთხოვთ, რომ ვერ შევძელით... (თუ არის თვითკრიტიკული გამოსვლის მაგალითები, ვინმემ მითხრას!).

გასაგებია, რომ საკუთარი შეცდომების აღიარება საკმაოდ რთული საქმეა, განსაკუთრებით პოლიტიკოსების მხრიდან. ისინი, ალბათ, ასე ფიქრობენ: „თუ ვიტყვი, რომ შეცდომებს ვუშვებ, ესე იგი, არაკომპეტენტური ვარ, შესაბამისად, ჩემს სახელსა და რეპუტაციას ჩრდილი მიადგება“. ძალიან ცდება, ვისაც ასე ჰგონია. მე მას ასე ვეტყოდი: **„მაჩვენე, რომ მართლაც ცდილობდი საკითხის გადაჭრას, დამარწმუნე, რომ მართლაც ცდილობდი დაპირებების შესრულებას, ჩამომითვალე ღიად ის მიზეზები, რაც ხელს გიშლიდა მუშაობაში, დაასახელე ხელშემშლელი პირები და მერე დავასკვნი, რომ მართლაც ცდილობდი და ვერ შესძელი. ამით შენი სახელი და აბრუ უფრო გამყარდება“.**

თუმცა ამას ახლა მე სულ ტყუილად ვამბობ, რადგან ასე არავინ არ მოიქცევა. მოსალოდნელია, რომ ისევ ძველებურად თავის ქებას გააგრძელებენ და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მათი ბაქიბუქის მომსწრენი გავხდებით...

არა, მე სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ მთავრობა ბევრს არაფერს აკეთებს. უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად ყველა ხელისუფლება მუშაობდა – „მოქალაქეებიც, ნაციონალებიც... რა თქმა უნდა, მუშაობს „ქართული ოცნებაც“. ახლა ამბობენ, რომ ხელისუფლება საკუთარი წარმატებების წარმოჩენაზე არ ზრუნავს და მოსახლეობა საქმის კურსში არ არის, იმდენი კარგი რამ ხდებაო. მესმის და ჩემთვის გასაგებია, რომ მთავრობამ თავისი საქმიანობის გარკვეული რეკლამირება უნდა მოახდინოს, ხალხს თავისი შრომის შედეგი აჩვენოს, მაგრამ ის, რომ, თუ შრომის შედეგების ასახვა საჭირო დონეზე არ ხდება, ჩვენი, რიგითი მოქალაქეების ბრალი სულაც არ არის: ამისათვის მეტი მუშაობაა საჭირო იმ პრესსამსახურებისგან, რომლებიც ხელისუფლების სტრუქტურებშია შექმნილი. ამისთვის მთავრობის წარმომადგენლებს მეტი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ ხალხთან, მეტი ურთიერთობა, მეტი შეხვედრები ჟურნალისტებთან. მათვე უნდა დააინტერესონ კერძო ტელევიზიები, კერძო მასმედია კარგი საქმეების გასაშუქებლად.

თუმცა... ძალიან ხშირად ხელისუფლების ინიციატივებს ხელოვნურობის სუნი ასდის და მათი დადებითად გაპიარება სიტუაციას ვერ შეცვლის. აი, მაგალითად, პროკურატურაში სამართლიანობის აღდგენის მიზნით რომ ორიოდე თვის წინათ სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა, დიდი აპლომბით და ოპტიმიზმით (აი, ახლა ნამდვილად ვიწყებთ სამართლიანობის აღდგენას! იხარე ერო, გეშინოდეთ ნაცებო!), დავიჯერო, ამდენი ქონების უსამართლოდ ჩამორთმევამითვისების საქმის გამოძიება (პოლიტიკური მოტივებით დაჭერის საქმეებზე რომ არაფერი ვთქვათ), არჩევნებამდე მოესწრება? თუმცა, რად გინდა, თვითკრიტიკის არარსებობის პირობებში, საკუთარი თავის ქებიდან გამომდინარე, გვეტყვიან: „ძალიან ვეცადეთ, მაგრამ ვერ მოვასწარით, ძალიან რთული საქმეებია, კიდევ აგვირჩიეთ და გავაგრძელებთო“.

ეჰ, ჩემო ძვირფასო ხელისუფლებავ... საერთოდ, კარგი იყო ამ საკითხზე პარლამენტში ადგილების დაკავებისთანავე გეფიქრათ, მაგრამ მაშინ გამარჯვების ეიფორია ძალიან გაგიგრძელდათ. კარგი იყო ამნისტიის შემდეგ მაინც დაფიქრებულიყავით, 2013 წლის იანვრიდან, როცა ამდენი ხალხი ჰაერში დაკიდებული მიატოვეთ და საქმეების გადასინჯვაზე უარი განაცხადეთ (მოტივი: „ვთქვათ და სასამართლომ გაგამართლათ, მერე კომპენსაციას მომთხოვთ და ფული არ გვაქვსო“). აი, ამაშია თქვენი დაპირებების ხელოვნურობა. პრემიებისთვის ხომ კარგად გამონახეთ იმავე 2013-2014 წლებში ფული? ორი თვის სამსახურდაწყებულმა ჩინოვნიკებმა რომ ათასობით ლარის ოდენობით პრემია აიღეს „სამშობლოსათვის თავგამოდებული და ენერგიული მუშაობის გამო“... ოპონენტები მეტყვიან – პრემიებს წყეული ნაციონალებიც იღებდნენო. დიახ, ასე იყო, გეთანხმებით, მაგრამ იმავეს გამეორებას და თანაც ასეთი რაოდენობით მე პირადად „მეოცნებეებისაგან“ არ მოველოდი.

სხვათა შორის, არც ის დაგვავიწყდება, რომ არჩევნების დროს ბევრი ისეთი პიროვნება აგვარჩევინეთ პარლამენტში, რომელიც არაფერს აკეთებს და გაყუჩებულია... სადაა მათი მაღალი პროფესიონალიზმი და გამოცდილება, არჩევნების დროს მქუხარედ რომ აპიარებდით?

არც ის დაგვავიწყდება, რომ არჩევნების შემდეგ თქვენ ნეპოტიზმის დონე კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანეთ: სახელმწიფო სტრუქტურებში ფიქტიური კონკურსებით თუ ფაქტიურად უკონკურსოდ, წარმატებით დაიწყეთ „მაღალპროფესიული და გამოცდილი კადრების“ (ნათესავების) მიღება, იმავდროულად კი უამრავი ძველი ნაციონალური კადრები დაიტოვეთ, რომლებიც ნელ-ნელა ძირს გითხრით... არა, მხოლოდ თქვენ კი არა, ჩვენც, მთლიანად საქართველოს...

ცივი გონებით თუ მივუდგებით, არაა გამორიცხული, რომ სახელმწიფო სამსახურში ვიღაცა ვიღაცის ნათესავი და ახლობელი იყოს, მაგრამ ყველა ისინი სამსახურში მიღებულნი უნდა იქნენ მკაცრი კონკურსის და გამჭვირვალე შერჩევის შედეგად, რომ არავის ეჭვი არ გაუჩნდეს. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ნათესავია, მაგრამ პროფესიონალია, თავისი საქმე კარგად იცის, მუშაობს მართლაც კეთილსინდისიერად და ბიძა-ბაბუის ზურგს არ ეფარება. მაგრამ დღეს რასაც ვაკვირდები.... მტერს არ ვუსურვებ ასეთ „გამოცდილ და პროფესიონალ, საქმისადმი თავგანწირულ სპეციალისტებს“! რასაკვირველია, ყველას არ ვგულისხმობ, პირადად ვიცნობ ზოგიერთებს, მართლაც თავიანთი საქმის მცოდნეები არიან, მაგრამ ძალიან დიდი პროცენტია არაობიექტური და მიკერძოებული პროტექციით მიღებულები სახელმწიფო სამსახურში.

ჩვენი ცნობილი პოლიტიკოსები (გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ პარლამენტის წევრები არიან), ნეპოტიზმი რომ გაამართლონ, ამბობენ, რომ საქართველო პატარაა და ყველა ყველას ნათესავი და ახლობელია, რა მოხდა მერე, დიდი ამბავი, სიდედრ-სიმამარი თუ ცოლ-შვილი (ბიძა-ძმისშვილებზე არაფერს ვამბობ) სახელმწიფო სამსახურში დასაქმდაო. კი, საქართველო პატარაა, მაგრამ საბიუჯეტო სტრუქტურებში მმართველი კოალიციის წევრთა ახლობლების დასაქმება დიდ ეჭვებს ბადებს. აი, კერძო სექტორში კი... რომელ პოლიტიკოსს ვინც სურს, თუ უნდა, მთელი ნათესაობა უკონკურსოდ დაასაქმოს, არავინ არაფერს იტყვის.

სამწუხაროა, რომ ასეთი „მაღალპროფესიული“ მუშაობის ტენდენცია არამარტო საშინაოპოლიტიკურ ორგანოებში, არამედ საგარეოპოლიტიკურშიც, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროშიც შეინიშნება. ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ უკრაინის მიმართულებით „წარმატებულმა“ მუშაობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებამდე იყო ცნობილი, რომ უკრაინაში ნაცებს პოზიციები საკმაოდ ძლიერი ჰქონდათ. მაგრამ სამინისტროს ყურიც არ გაუპარტყუნებია და ხელიც არ გაუნძრევია, მზერაც კი არ მიუპყრია კიევისათვის, სადაც ელჩად მიხეილ სააკაშვილთან ძალიან დაახლოებული პირი მუშაობდა. იგი თითქმის 2013 წლის აპრილამდე განაგრძობდა დიპლომატიურ წარმომადგენლად ყოფნას! „ნაციონალების“ ერთგულნი იყვნენ საელჩოსა და გენერალური საკონსულოების ბევრი თანამშრომელი, რომელთაგან ზოგიერთები უკრაინის მასმედიით გამოდიოდნენ და „მეოცნებეებს“ ლანძღავდნენ. ახლა გვიკვირს, რატომ არის იმდენი ქართველი იქ წასულიო... სხვა ფაქტორებთან ერთად, კიევში ქართველების მომრავლებას ხელი სწორედ ჩვენმა მაშინდელმა დიპწარმომადგენლობამაც შეუწყო...

შემდეგ დაინიშნა ახალი ელჩი, მაგრამ რად გინდა – როცა კიევში ჩასახლებულ „ნაცებს“ საქართველოს ხელისუფლების კრიტიკით იქაური პრესა და ტელევიზია აკლებული ჰქონდათ, ჩვენი ელჩი დუმდა... არადა, ელჩის საქმიანობის მთავარი მიმართულება რა არის? სახელმწიფოს ინტერესების დაცვა... ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი რატომღაც ერიდებოდა (და ახლაც ერიდება) საჯარო გამოსვლებს, ინტერვიუებს... რატომ? განა მას კარნახი უნდა ჭირდებოდეს საქართველოს მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საჯარო ახსნა-განმარტებისათვის უკრაინის ხელისუფლებისა და უკრაინელთა წინაშე? განა მას რომელიმე გაზეთი ან ტელევიზია უარს ეტყოდა ინტერვიუსათვის? განა მას მართლაც თბილისიდან აქვს ნაბრძანები, ხმა არ ამოიღოო? აბას, რას მივაწეროთ ეს ყველაფერი? გამოდის, რომ აქ ჩვენები ბობოქრობდნენ, რატომ დანიშნეს ნაციონალები უკრაინის მთავრობაშიო, იქ კი ჩვენი ელჩი გაყურსული იჯდა. პარადოქსია, აბა რა არის...

ორიოდე თვის წინათ კიევში ჩვენი დელეგაცია იყო ჩასული. თვალს ვადევნებდი ინფორმაციებს, აბა, რას ეტყვიან უკრაინელ კოლეგებს და ქვეყნის ხელმძღვანელებს იმ საკითხზე, რომლის შესახებ აქ, თბილისში ძალიან ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ყველაფერზე ილაპარაკეს, მაგრამ ნაცების დანიშვნებსა და გააქტიურებაზე სიტყვაც არ დაუძრავთ („ეს მათი საშინაო საქმეა, ვერ ჩავერევითო“). მესმის, რომ შეიძლება ეს ყველაფერი დასავლეთის მიერაა ნაკარნახევი – თბილისში, რაც გინდათ ის თქვით შიდა მოხმარებისთვის და გულის მოსაფხანად, ხალხის დასანახ-გასაგონად, მაგრამ უკრაინის ახალ ხელისუფლებას ოფიციალური პროტესტის ნოტა არ გაუგზავნოთო... მაგრამ ვისთვისაა ეს კარგი? ჰოდა, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: სააკაშვილი და მისი გუნდი იქიდან გვემუქრება.... იქაური მინისტრები ჩვენს მინისტრებს ფეხებზე იკიდებენ და შეხვედრაზე უარს აცხადებენ... ჩვენი პროკურატურის თხოვნაზე და იქაურის პასუხზე აღარაფერს ვიტყვი...

ამ დღეებში უკრაინაში კიდევ ერთი ჩვენი დელეგაცია იმყოფებოდა, ამჯერად მას პარლამენტის სპიკერი ხელმძღვანელობდა. ეს ყველაზე მაღალი დონის დელეგაციაა 2012 წლის შემდეგ. მასში, სხვათა შორის, „ნაციონალი“ დეპუტატიც შედიოდა. საინტერესოა, შეხვდნენ თუ არა ჩვენი კანონმდებლები კიევში დასაქმებულ ქართველ „ნაციონალ „გასტარბაიტერებს“? ეჭვი მაქვს, რომ თუ შეხვდნენ, ალბათ, გაიხსენებდნენ ერთად ყოფნას „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პირველ პერიოდში და შეიძლება სამომავლო გეგმებიც დასახეს... პოლიტიკური პარტნიორობის მიზნით... თუმცა, იქნებ ჩემი ეჭვები არ გამართლდეს.

ნამდვილად არ მინდა, რომ 2016-ის შემოდგომაზე ისევ 2003 წლის „დეჟა ვიუს“ მომსწრე გავხდე – არ მსურს, რომ ჩემი ქვეყნის მთავრობაში ისევ „ნაციონალები“ ვიხილო.

გესმის, ხელისუფლებავ? დრო არ ითმენს.

სიმონ კილაძე

„მაჩვენე, რომ მართლაც ცდილობდი საკითხის გადაჭრას, დამარწმუნე, რომ მართლაც ცდილობდი დაპირებების შესრულებას, ჩამომითვალე ღიად ის მიზეზები, რაც ხელს გიშლიდა მუშაობაში, დაასახელე ხელშემშლელი პირები და მერე დავასკვნი, რომ მართლაც ცდილობდი და ვერ შესძელი. ამით შენი სახელი და აბრუ უფრო გამყარდება“.

◎ ეკონომისტები ჩივიან

ინვესტორი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ნაციონალური ბიზნესი

საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც რამდენიმე მილიონიანი ევროპის ეკონომიკური ნაწილი გახდა. თუმცა, ლარის მიმოქცევაში შემოღების 20 წლისთავზე, მაინც ლარის კატასტროფულ გაუფასურებაზე უწევს მსჯელობა; მოსახლეობა მთლიანი შიგა პროდუქტით თავს ვერ იწონებს; ხოლო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი იკლებს და იკლებს...

ეკონომიკურ ფორუმზე **„საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და მდგრადი განვითარება“** ქვეყნის ფინანსთა მინისტრი მაინც ოპტიმისტურად წარსდგა. ჩვენ ბევრ რამეს კარგს ვაკეთებთ, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა, — გვინდა, გავაუმჯობესოთ საგადასახადო გარემო ქვეყანაში, რაც ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. მან ის ცვლილებები ჩამოთვალა, რომელიც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ განხორციელდა ქვეყანაში: ეს არის ბიზნესის ხელშეწყობის პრიორიტეტად გამოცხადება, ტურიზმის განვითარება, საგადასახადო შეღავათები შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის, სამშენებლო ბიზნესისთვის, ავტოდილერებისთვის, ხორბლის იმპორტიორებისთვის...

თბილისის ახალი მერიც მიიჩნევს, რომ არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. **„პირველი, რაც დავიწყეთ, ეს იყო არსებული მდგომარეობის შესწავლა — ინვენტარიზაცია. ამის კარგი მაგალითია „სითი-პარკთან“ დადებული ხელშეკრულების გასაჯაროვება. შევქმენით საინვესტიციო პროექტების მართვის სააგენტო, სადაც 100-ზე მეტი პროექტია შემოტანილი, დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ღირებულების. შევისწავლეთ თბილისში შეჩერებული მრავალსართულიანი ნაგებობები, რომელთაც რეაბილიტაცია გაუკეთდებათ. დაწყებულია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მშენებლობა, რომელიც 8 წელიწადია, შეჩერებული იყო. ვგეგმავთ, მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობას, საჯარო — კერძო პარტნიორული პროექტების გამოყენებით ვცდილობთ, ქალაქის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციას, ავარიული სახლების რესტავრაციას. თბილისი — „ჭკვიანი ქალაქი“, ესეც ჩვენი ერთერთი ამბიციური პროექტია“,** — ამბობს დავით ნარმანია.

ამ ყველაფერთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლები ეკონომიკის განვითარების მთავარ პირობად ინვესტიციების მოზიდვას ასახელებენ, მაგრამ ეკონომისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არცთუ მართებული მიდგომაა. მიხეილ ჯიბუტის თქმით, დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოში არ ყოფილა ხელისუფლება, რომელსაც არ ჰქონდა ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, თუმცა, სხვა საკითხია, ვინ, როგორ ახერხებდა ამას. დღეს კი ასეთი მდგომარეობა მივიღეთ: ჩვენს ქვეყანაში ინვესტორი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ნაციონალური ბიზნესი. ეკონომისტი, ცოტა არ იყოს, ფილოსოფიურად უდგება ამ თემას: **„ინვესტიცია, ინვესტიცია, ინვესტიცია... მერე რა? რისთვის გვინდა ეს ინვესტიცია, მუშაობს თუ არა ის ყოველთვის ადამიანისთვის? ჩემი აზრით, პოლიტიკაში ეს მიდგომა შესაბრუნებელია, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ამ მცდარ კონცეფციაში არაფერი შეცვალა. როგორც კი ლარი „გაექანა“, ამბობენ, გავყიდით შენობებს და მოვაგვარებთ ეკონომიკასო... კი მაგრამ, წინამორბედი სხვას რას აკეთებდა? ვნახეთ, რომ ეკონომიკას ამან ვერ უშველა... ხელისუფლება რომ პატიობს ბიზნესმენებს, ხალხს რატომ არაფერს ეკითხება... მე ვპატიობ?“** — ასკვნის მიხეილ ჯიბუტი.

ეკონომიკური ფორუმი ლარის შემოღების 20 წლისთავს მიეძღვნა, რომლის ორგანიზატორი იყო საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, თავისუფალი ეკონომიკის ინსტიტუტი და საქართველოს ბიზნეს-პალატა. კონფერენციის დიდი ნაწილი ენერგეტიკულ სექტორს მიეძღვნა. ითქვა, რომ ქვეყანას აქვს პოტენციალი ამ მიმართულებით, მაგრამ არა აქვს სტრატეგია. თუნდაც ის, რომ ირანი გააქტიურდა, ხოლო ამ ფონზე შეიძლება საქართველომ დაკარგოს ენერგეტიკული ხიბლი... დღეს ამ თემაზე მსჯელობაც კი არ მიმდინარეობს, არადა, გამოწვევა სულ უფრო თვალხილული ხდება. საინტერესო იყო კერძო ამერიკული ფონდის „შულც გლობალის“ მმართველი დირექტორის მიხეილ ნიბლაძის მოხსენება. ამ კომპანიას საკუთარი ენერგეტიკული ინტერესები აქვს საქართველოში. ის ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის მიმზიდველობას განაპირობებს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, განათლებული მოსახლეობა, საგადასახადო შეღავათები, ევროკავშირთან ხელშეკრულება. მაგრამ აქვს ნაკლოვანებებიც: პატარა ბაზარი, პოლიტიკური არასტაბილურობა, დაძაბულობა რუსეთთან... ამის მიუხედავად, ფონდი გეგმავს მცირე და საშუალო ჰესებში ინვესტიციების განხორციელებას, მის მფლობელებთან ერთად.

ეს მომავალში...

მაგრამ დღეს ვითარება გაცილებთ მძიმეა. ცნობილია, რომ მდიდარსა და ღარიბს შორის თანაფარდობით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მე-80 ადგილზეა (ლიდერობს იაპონია). აქსიომაა, რომ თუ ეკონომიკური ზრდა 20 პროცენტზე ნაკლებია, მაშინ საჭიროა ინტენსიური განვითარება (ჩვენ არც 20-პროცენტიანი ზრდა გვაქვს და არც ინტენსიური განვითარება). არადა, ეკონომისტთა გათვლებით, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში იყო ცნობილი, რომ თუ დასავლეთის ქვეყნები „გაჩერდებოდნენ“, პოსტსაბჭოთა ქვეყნები მათი ცხოვრების დონეს 20 წლის შემდეგ გაუთანაბრდებოდნენ. (არც დასავლეთი განიცდის დაბრკოლებას და არც ჩვენ გავრბივართ წინ თავქუდმოგლეჯილნი). მაშინ, რა არის გამოსავალი, რა გზით შეიძლება წარმატების მიღწევა? ეს უკვე კიდევ ერთი დიდი ფორუმის საინტერესო თემაა.

თეა ფოსია

◎ სოფელს მართლა გაუჭირდა!

გაუფასურებული ლარი გლეხური მეურნეობების წინააღმდეგ

ლარის **დევალვაციამ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართველი ფერმერები წარმოადგენენ, რადგან მათ უმეტესობას აგროსესხები დოლარში აქვს აღებული, თანაც, ხშირად ეს სოლიდური თანხაა. მაგალითად, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ზოგიერთ ფერმერს 200, 300, 600 ათას დოლარამდე სესხი აქვს აღებული, რის გამოც ისინი სერიოზულ ზარალს ნახულობენ. ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პროექტების მართვის სააგენტო შეღავათიანი აგროკრედიტით მოსარგებლე ფერმერების დასახმარებლად ბანკებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. როგორც ჩანს, ყველაზე რეალური და ქმედითი დახმარება მათთვის ამ ეტაპზე სესხის რესტრუქტურიზაციაა. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, სესხის რესტრუქტურიზაცია, შესაძლოა, ლარში მოხდეს, ან შეღავათიანი სესხები მთლიანად ლარში გაიცეს.**

როგორც bpn.ge-ს ფერმერმა **ამირან ხახიშვილმა** განუცხადა, კოოპერატივი შარშან, მარტში შექმნა და სერიოზული გეგმები ჰქონდა, გაფართოებას აპირებდა, მაგრამ ეროვნული ვალუტის კურსის რყევამ ხელი შეუშალა. **„მესაქონლეობას ვეწევით, თეთრიწყაროს რაიონში გვაქვს ფერმა. მეურნეობის განვითარების მიზნით 1%-იანი ანუ შეღავათიანი კრედიტი გამოვიტანე. თანხა საკმაოდ დიდი იყო — 180 ათასი დოლარი. შვიდწლიანი კრედიტი გამიფორმეს. ახლა 160 ათასი დოლარი დამრჩა გადასახდელი. ბუნებრივია, კურსის შეცვლის შემდეგ ძალიან გაგვიძნელდა გაზრდილი თანხის გადახდა. კიდევ კარგი, ბანკმა გადაგვივადა და 3 თვის ვადა მომცა, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩარევით გადაწყდა“,** — გვითხრა ამირან ხახიშვილმა.

ქართველმა ფერმერებმა გაფართოებაზე ფიქრს თავი დაანებეს

მისივე თქმით, ახლა ზაფხულის იმედი აქვს, რადგან ამ თვეებში საქონლისთვის საკვების ყიდვა მაინც აღარ მოუწევს. **„ძალიან გვინდა რეგიონში რძის გადამამუშავებელი ქარხანა ავაშენოთ. პროექტი განხილვის სტადიაშია და ვნახოთ, საქმე როგორ წავა. ჯერჯერობით კი, მარტო რძეს ვაწარმოებთ და ვყიდით. თუმცა, ჩვენი პროდუქციაც ძალიან გაიაფდა: შარშან ამ დროს 1 ლიტრ რძეს 1-1,10 ლარად ვყიდდით, ახლა კი მისი ფასი 75 თეთრამდე ჩამოვიდა. ეს იმის ბრალია, რომ წელს საქართველოში ძალიან დიდი რაოდენობით რძის ფხვნილი შემოვიდა. ზოგჯერ ხელოვნური ნაწარმი ნატურალურზე უფრო გემრიელიცაა იმიტომ, რომ დანამატები აქვს, თანაც იაფია. ამიტომ მომხმარებელი ხშირად მას ყიდულობს. აგვისტოდან რძის რეგლამენტი თუ ამოქმედდება, მეწარმეები ვეღარ დაარქმევენ რძის ნაწარმს ისეთ პროდუქციას, რომელიც ნატურალურ რძეზე არ იქნება დამზადებული და ჩვენც ალბათ შეღავათი მოგვეცემა“,** — აღნიშნა bpn.ge-სთან საუბარში ფერმერმა.

არაერთი პრობლემის წინაშე დგას ქალბატონი **ნინა პეტროვაც,** რომელსაც სასათბურე მეურნეობა აქვს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მოჰყავს. **„ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობამ ჩემს საქმეზე ძალიან ცუდად იმოქმედა. წარმოიდგინეთ, როდესაც სესხი დამიმტკიცეს, ლარის კურსი 1,72 იყო, ახლა კი თანხა შევიტანე 2,25-იანი კურსით. შემოსავალი ლარში მაქვს და კრედიტის მომსახურებისათვის დოლარს ვყიდულობ. სახელფასო ფონდი პრაქტიკულად აღარ გვაქვს და მუშახელიც შევამცირეთ. ჩვენ ძირითადად საოჯახო ბიზნესს ვაწარმოებთ, მაგრამ დამხმარეებიც გვყავს. თუ ადრე 8 ადამიანი გვყავდა დასაქმებული, ახლა მათგან მხოლოდ ორი დავიტოვეთ — სხვა გზა უბრალოდ არ გვქონდა. თუ სიტუაცია გამოსწორდება, ჩვენს თანამშრომლებს ისევ მოვიხმობთ“,** — ამბობს ნინა პეტროვა.

მისი თქმით, 200 ათასი დოლარის ოდენობის კრედიტი აქვს გამოტანილი, თუმცა, ჯერჯერობით ლარზე გადაყვანისგანაც თავს იკავებს. **„დოლარის კურსი რომ შეიცვალოს, კონვერტაციის შემდეგ შეიძლება უფრო მეტი წაგება ვნახო, ამიტომ მოლოდინის რეჟიმში ვარ და ლარის კურსს მუდმივად თვალს ვადევნებ“.** წელს გაფართოებას და მესამე სათბურის დამატებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნინო ზამბახიძე** აცხადებს, რომ ლარის დევალვაციამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაზე. **„აგროსესხის ფარგლებში საშუალო თუ მსხვილ ფერმერებს სესხი დოლარში ჰქონდათ აღებული. ასეთი დაახლოებით 610 ფერმერია. გარდა სესხისა და გაზრდილი პროცენტებისა, მათ სხვა ხარჯებიც გაეზარდათ: უკვე დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები, ხვნა-თესვა და პესტიციდების ფასი დაახლოებით 20%-ით გაიზარდა. ყველა ეს პროდუქტი დოლარზე იყო მიბმული: ზოგი მათგანი ირანიდან შემოდის, ზოგი — თურქეთიდან, ან ჩინეთიდან და ფერმერები ყველაფერს დოლარით ყიდულობენ, ამიტომ ჩვენი ფერმერები აურაცხელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ“,** — აღნიშნავს ნინო ზამბახიძე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პროექტების მართვის სააგენტო ცდილობენ, გლეხურ მეურნეობებს ეს პრობლემები როგორმე შეუმსუბუქონ. **„ჩვენი ორგანიზაციაც აქტიურად არის ჩართული მოლაპარაკების პროცესში. ვცდილობთ, ფერმერებმა დოლარში აღებული სესხები როგორმე ლარში გადაიყვანონ, თუმცა, ზოგიერთ მათგანს შეიძლება ეს არც უნდოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ შეღავათზე კონკრეტული მსჯელობა უკვე მიმდინარეობს. დოლარში სესხების გაცემას ჩვენ თავიდანვე ვეწინააღმდეგებოდით — როდესაც სახელმწიფო აკეთებს სუბსიდირებას და ქვეყანაში არსებობს ეროვნული ვალუტა, გაუგებარია, ბანკები რატომ უნდა გასცემდნენ სესხს დოლარში?!“** — აცხადებს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

ხათუნა ჩიგოგიძე

რამ აანრიალა ნინო ბურჯანაძე?

დაახლოებით თოთხმეტი წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრები წერდნენ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზე. გაზეთის გვერდნახევარი დათმობილი ჰქონდა მის მიერ დაშვებულ შეცდომას, რაც დანაშაულს უთანაბრდებოდა. სწორედ ეს ამხილეს ხსენებულმა ადამიანებმა, რის შედეგად ბურჯანაძეს გასამართლება ემუქრებოდა. იგი სააკაშვილის გაპრეზიდენტებამ იხსნა დაპატიმრებისაგან.

თუ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტი ვინმეს ცილისწამებად მოეჩვენება, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიის მოძებნა, სადაც მოთხრობილია ბურჯანაძის დანაშაულებრივი ქმედება.

მრავალტანჯული პოლიტპატიმრები აუგად მოიხსენიებდნენ ბურჯანაძეს. მაშინ მომეჩვენა, რომ ხსენებულმა ადამიანებმა გადააჭარბეს!

დღეს რატომღაც ერიდებიან ამ ქალბატონის კრიტიკას და იმდენად გათამამდა, რომ „ოცნების“ წევრებს ხელისუფლებიდან ჯოხით გასაყრელები უწოდა. ის ხალხი მოიხსენია აუგად, რომელმაც ქართველთმოძულე სააკაშვილი და მისი ბანდა ხელისუფლებას უსისხლოდ ჩამოაშორა. რასაკვირველია, უშეცდომო არავინაა, მაგრამ დიდი ღვაწლის გამო უდიერად მოხსენიება ამ ადამიანებისა, ყოვლად დაუშვებელია. ხალხში იტყვიან, რასაც მომისვამ ხელზე, იმას წაგისვამ სახეზეო. ამიტომ ნურც იმას ეწყინება, ვისაც პირში სიმართლეს ეტყვიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ბურჯანაძეს პირში სიმართლე უთხრეს. წინამდებარე სტატიაში მეც განვიზრახე მასზე სიმართლე ვთქვა. მოკლედ, ბურჯანაძე შემთხვევით არის მოსული პოლიტიკაში და მას წარმოდგენაც კი არ აქვს ამ სფეროზე. კატეგორიულად უარყოფს სააკაშვილთან იდეურ თანამშრომლობას, სინამდვილეში კი მისი მარჯვენა ხელი იყო. იმ დროისათვის იგი ოპოზიციას ასე მიმართავდა – იარეთ ასე აღმა-დაღმა, ჩვენ ამით ვერ შეგვაშინებთო, ხოლო, როდესაც სააკაშვილმა ჯერარნახული ავანტიურის შედეგად 2008 წელს საქართველოს კატასტროფა განაცდევინა, მას ბურჯანაძე ერთგულ დამცველად გამოუჩნდა – 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ხიდის ყურში იდგა და გამვლელ-გამომვლელს ყელგამოწეული ეხვეწებოდა – სააკაშვილს მიეცით ხმაო.

ბურჯანაძეს წარმოდგენა რომ არ აქვს ინტეგრალურ პოლიტიკაზე, ნათლად ჩანს მისი საჯარო გამოსვლებიდან. ცარიელი სიტყვების კორიანტელს აყენებს და გულუბრყვილო ამომრჩეველს უმტკიცებს – თითქოს იგია ქვეყნის გადამრჩენი.

ბურჯანაძის საჯარო გამოსვლებიდან არ გამოსჭვივის არანაირი პოლიტიკური წინადადებები. მუდმივად გაიძახის: ჩვენ გვინდა კაი ეკონომიკა, კაი სოფლის მეურნეობა, კაი განათლება და ასე შემდეგ, მაგრამ როგორ მიიღწევა ეს „კაი“ ამას არ ამბობს.

პოლიტიკოსმა უპირველესად უნდა განსაზღვროს რეალობისთვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელი, მისი ვარგისიანობა მოცემული მომენტისთვის დაამტკიცოს მეცნიერულად, ფილოსოფიურად, გნებავთ, სამყაროსეული გაგებითაც; ზუსტად განსაზღვროს პირველ და მეორე რიგში მოსაგვარებელი პრობლემები; დაასახელოს რამდენიმე ათეული ობიექტური ფაქტორი მაინც, რამაც სირთულეები გამოიწვია; გააანალიზოს უახლოეს წარსულსა და აწმყოში მიმდინარე მოვლენები და იქიდან სწორი დასკვნები გააკეთოს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ბურჯანაძისთვის ამგვარი ქმედება უცხო ხილს წარმოადგენს.

„რამდენიმე ათეულს“ იმიტომ ვამბობ, რომ საზოგადოების განვითარებას უსასრულო ობიექტური ფაქტორები განაპირობებენ, რის აღქმა და გაანალიზება ადამიანის გონს არ შეუძლია.

ახლა უშუალოდ პასუხი გავცეთ სტატიის სათაურში დასმულ კითხვას – რამ ააწრიალა ნინო ბურჯანაძე? – შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანდა, რომ „ოცნებას“ ოპოზიციად სურდა ის და მისი პარტია. ყოველნაირად უწყობდა ხელს ოპოზიციური პარტიების რიგებში წინა პოზიცია დაეკავებინა. ბოლო დროს აშკარად გამოჩნდა, რომ „ოცნებამ“ ბურჯანაძის პარტია ჩაანაცვლა სხვა – უფრო ეროვნული და შემართებული პარტიით. ყველაფერმა ამან ბურჯანაძეს წონასწორობა დააკარგვინა. იგი სასოწარკვეთას მიეცა და რას ამბობს, თვითონაც ვერ აცნობიერებს. ამის ნათელი დადასტურება იყო, როდესაც რუსულ პრესაში პირდაპირ თუ ირიბად გაამართლა რუსეთის აგრესია ყირიმის მიმართ. როგორც ცნობილია, ყველა სახელმწიფომ, მათ შორის, რუსეთის მოკავშირეებმაც კი კრემლის ეს აგრესია დაგმო. მხოლოდ ბურჯანაძე აღმოჩნდა ლოიალური ამ ანექსიის მიმართ. ამით მან პოლიტიკური თვითმკვლელობა ჩაიდინა. რატომ წავიდა ასეთ ავანტიურაზე? – თუ მას ჰგონია, რომ კრემლი ზემოხსენებული განცხადებისთვის საქართველოს ხელისუფლების მეთაურობას ხონჩით მიართმევს, ძალიან ცდება. მთელი დასავლეთი მხარს უჭერდა სააკაშვილს და მის ბანდას, მაგრამ ქართველი ხალხის ნება სულ სხვა იყო და ეს ნაძირლები ხელისუფლებას ჩამოშორდნენ. **ქართველმა ხალხმა კარგა ხანია, პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა სააკაშვილს და მის ყოფილ ხელქვეითებს – ალასანიასა და ბურჯანაძეს.**

თუ ბურჯანაძე ვინმეს არ მიეკედლა – შინ ან გარეთ, მას პოლიტიკაში თვითდამკვიდრება არ შეუძლია ზემოჩამოთვლილი ფაქტორების გამო.

მკითხველს ერთი დაუწერელი კანონის შესახებ მოვუთხრობ. თუ პარტიის ან ინდივიდის ქმედება არ გამოხატავს სახელმწიფოს ინტერესებს, საჭიროა, ამგვარი ადამიანები იდეურად ბოლომდე იქნენ გაცამტვერებულნი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ყოველთვის შეუძლიათ თავის წამოყოფა და ავი საქმეების კეთება. რასაკვირველია, იდეურ გაცამტვერებაში არ იგულისხმება ფიზიკური ლიკვიდაცია ან მათთვის სხვა სფეროებში მუშაობის აკრძალვა. ზემოჩამოთვლილი პერსონები ჯერ კიდევ რომ ბოგინობენ პოლიტიკურ სარბიელზე, შედეგია იმისა, რომ ინტელექტუალები და საქმის კურსში მყოფი ადამიანები პასიურობენ და სათანადოდ მკაცრად არ აკრიტიკებენ ფსევდოპოლიტიკოსებს.

სააკაშვილი და მისი მომხრეები, ალასანია და ბურჯანაძე, მისდაგვარი ვაიპოლიტიკოსები სხვებს, მოწინააღმდეგეებს მოიხსენიებენ უნიათოებად, უუნაროებად, უმეცრებად. ამის საპასუხოდ, როდესაც ხდება მათი აუგად მოხსენიება, ზოგი გაზეთი ასეთ სტატიას არ ბეჭდავს – უაღრესად კრიტიკულიაო. სწორედ ასეთ ძცევას ჰქვია მიკერძოება, რაც დამღუპველია ერის პროგრესისათვის.

ონისე მწარიაშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჯახები

● თუ „მაკდონალდსში“ თინეიჯერულ ასაკს გადაცილებული ახალგაზრდა (არა აქვს მნიშვნელობა ბიჭია თუ გოგო) მარტო შედის, ის რომელიმე „გამჭვირვალე“ და გრანტებიანი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრია!

(დაკვირვებული კაცის სმაილიკი).

● იმ წყეულებს ცხრა წელიწადში გაზაფხულიც შეუჭამიათ.

● „პირდაპირ იყო ულტიმატუმი ამერიკის საელჩოს მხრიდან, ან ამოიღებთ ამ საქმეებს, ან მთლიანად სია ჩავარდებაო“, განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

ამ განცხადების შემდეგ, ქალბატონმა ნანა კაკაბაძემ აუცილებლად უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. ახლა რატომ ასაჯაროებს ზეწოლის ამ ფაქტს?

2. როგორი ფორმით მოხდებოდა „სიის ჩავარდნა“, ანუ რა მექანიზმებს გამოიყენებდა საელჩო?

3. არის თუ არა ეს განცხადება ამერიკის დისკრედიტაციის მცდელობა?

● ჯერ ბლეფიაო, მერე, ფაქტის წინაშე რომ დადგნენ, ცდებს ატარებენ ხალხზეო, მერე ცალი თვალი მოჭუტეს – ვინ დააფინანსა და რა ინტერესები ჰქონდაო? მოკლედ, ბოლოს აღიარეს, კარგი საქმე გაკეთდაო... სასწაული ხალხი ვართ, აი რაღაცნაირები.

● 18. 00 სთ. „მაესტროს“ ახალი ამბები:

1) წვიმები ლაგოდეხში;

2) ხარძიანების ოჯახი;

3) მომსახურების საგენტოს უფროსის ვნებანი;

4) შეხვედრა ბეხლერთან;

5) ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში...

კიდევ კარგი, სულ რომ არ დაავიწყდათ.

● მე არც წარსულის, არც მომავლის, არ მეშინიაო! – თქვა ტელეეთერში პარლამენტარმა ქალბატონმა ნანა ყეინიშვილმა.

ახია ჩვენზე და მით უფრო მათზე, ვინც იგი ტელეგადაცემაში მიიწვიეს!

● ავთომ ამოაძვრინა ზონტიკი და მეზონტიკე სარაიიდან?

● დარჩიაშვილი ლამბერ, უპ შემეშალა, პათოსექსუალია?

● რაის მზის და ვარდების მხარეო, ჩამოიქცა ცა!

● პრესის ფურცლებიდან:

„გიგი წერეთელი: C ჰეპატიტის პროგრამის განხორციელებას საფუძველი ჩვენი მთავრობის პირობებში ჩაეყარა“

გიგიმ გადახედა შეკრებილთ, ალოკა მიკროფონი და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო:

– და, საერთოდ, შეგახსენებთ, რომ ჩვენი მთავრობის პირველ დღეს შეიქმნა ცა და დედამიწა, მერე დღეს ჩვენმა ბელადმა თქვა: „და იყოს ნათელი“, და იქმნა ნათელი. და მან ნახა, რომ ეს იყო კარგი და გაიცინა.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ SIC!

ბანკების მიმართ პრეტენზიები მატულობს

მომხმარებელთა საჩივრები კომერციული ბანკების მიმართ, თებერვალთან შედარებით, მარტში გაიზარდა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, მარტში 227 საჩივარი დაფიქსირდა, თებერვალში კი 212 საჩივარი იყო. საერთოდაც ბოლო წლებში ბანკების მიმართ უკმაყოფილება მუდმივად იზრდება.

სტატისტიკის მიხედვით ყველაზე მეტი, 68 საჩივარი მიმდინარე ანგარიშებს ეხება, 47 – საკრედიტო ბარათებს, 31 კი – მომენტალურ განვადებას. შინაარსობრივად მომხმარებელთა უმრავლესობას შენიშვნები ტრანზაქციებთან, ჯარიმა ვადაგადაცილებებთან და ადმინისტრაცია-მომსახურებასთან დაკავშირებით აქვთ. 227 საჩივრიდან ეროვნულმა ბანკმა 126 უსაფუძვლოდ მიიჩნია, 55 საფუძვლიანი იყო, ხოლო 46 განხილვა არ დასრულებულა.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ცხელი ხაზი ეროვნულ ბანკში 2011 წლიდან მოქმედებს. პრეტენზიების სტატისტიკაც მას შემდეგ იწარმოება. თუმცა, იმ პრეტენზიების ოდენობა, რომლებიც ბანკის მიერ საფუძვლიანად არის მიჩნეული, სულ უფრო და უფრო მცირდება. მაგალითად, 2013 წელს საფუძვლიანი პრეტენზიების წილმა მთლიან პრეტენზიებში 31% შეადგინა. მომხმარებლების მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზიებიდან თითქმის ყველას განხილვა კომერციულ ბანკებს დასრულებული აქვთ.

თუმცა, მომხმარებელი ამ სტატისტიკას სანდოდ სულაც არ მიიჩნევს. საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, დღესდღეობით კომერციული ბანკები მომხმარებლების როგორც ინტერესებს, ასევე მათ უფლებებს სულ უფრო ნაკლებად ითვალისწინებენ და იცავენ. ბანკები, რა თქმა უნდა, თავისი სიმართლის დამტკიცებას ცდილობენ, შესაბამისად, პრეტენზიების განხილვის პროცესში მომხმარებელთა საჩივრის დაკმაყოფილების პროცენტულობა მაღალი არ არის.

სხვათა შორის, საფინანსო ინსტიტუტებსა და მომხმარებელს შორის ჯანსაღი ურთიერთობა რომ არ არის, ამას ეროვნულ ბანკშიც მიუთითებენ. სებ-ის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ამ რამდენიმე ხნის წინათ მომხმარებლებს ე.წ. საკრედიტო მახეების შესახებ აფრთხილებდა. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, მომხმარებლებმა სესხის აღებისას არა მხოლოდ კარგად წაიკითხონ ხელშეკრულებები, არამედ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი პროდუქტების მოხმარების დროს, როგორებიცაა განვადება, საკრედიტო ბარათი და სესხის გადაფარვა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მიაჩნიათ, რომ ბანკების მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის კლიენტის მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მისადაგება უნდა მოხდეს.

ბექა დანელია

შეუმცდარი მხოლოდ უფალია!..

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტმა სპორტის მინისტრის ლევან ყიფიანის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და დოკუმენტი რეაგირებისთვის პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნა. სპორტსმენი დეპუტატები ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას ელოდებიან, თუმცა, for.ge-ს ინფორმაციით, შესაძლოა, კანონმდებლებმა პარლამენტში მინისტრის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყონ.

დეპუტატთა ნაწილი ყიფიანზე ნაწყენია. ისინი განსაკუთრებით მინისტრის განცხადებამ გააღიზიანა, სადაც მან სპორტსმენ დეპუტატებს „საბჭოთა გადმონაშთები“ უწოდა.

სპორტულ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და პრეზიდენტისა და მმართველი გუნდის ურთიერთობაზე for.ge ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეს სოსო ჯაჭვლიანს ესაუბრა:

სოსო ჯაჭვლიანი: ხელების ფათური და ტენდერები იქით მოიკითხონ – სპორტის სამინისტროსაც ვგულისხმობ, ჩემს გუნდსაც და ოპოზიციასაც

– პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან დაკავშირებით მთავრობასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის დაპირისპირებაა. აღმასრულებელი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილი ათონელის ქუჩაზე არსებულ სასახლეში უნდა გადავიდეს. მათ პოზიციას იზიარებთ?

– ქართველებთან ლაპარაკი ძალიან რთულია, რადგან ბუნებაში არსებობს რაღაც შეთანხმება, გუნდურობა, უბნელობა, ქალაქელობა და თუკი აქედან რაიმეს დაარღვევ, შეიძლება დაგმარხონ. წინასაარჩევნო კამპანიას ლაიტმოტივად გასდევდა ის, რომ როცა ჩვენ პრეზიდენტს ავირჩევდით, „ქართული ოცნება“ ქაჯეთის ციხეში არ შევიდოდა და ბატონმა გიორგიმაც განაცხადა, რომ ის გარყვნილების ბუდეში არ შევიდოდა. პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში შევიდა და ახლა თავს, როგორ იმართლებს?

– გიორგი მარგველაშვილის გუნდი ამბობს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრიმინაცია ხდება...

– პიროვნულად გართულება არავის მიმართ არ მაქვს და არავის დისკრიმინაცია არ ხდება. პრეზიდენტის დისკრიმინაცია მაშინ მოხდებოდა, როცა მას მთავრობა და პარლამენტი ეტყოდა, რომ ავლაბრის რეზიდენციიდან გამოსულიყო, რათა იქ პრემიერი შესულიყო. ათონელის ქუჩაზე რეზიდენციის მშენებლობა პრეზიდენტის თანხმობით მოხდა, იქ თანხები დაიხარჯა და ახლა მისი გაყიდვა რომ მოინდომონ, შეიძლება, ხარჯის ნაწილიც კი ვერ ამოიღონ და თავიდანვე არ სჯობდა, ამდენი ფული არ დაგვეხარჯა? ამჟამად კამათი ამიტომ ხდება. სახეზეა ჯიბრი და არ დავაკონკრეტებ, ეს ჯიბრი საიდან მოდის. კითხვები ორივე მხარის მიმართ არსებობს. არ ვიცი, რა გავაკეთეთ და რ არა?

– ძალიან კარგად ვიცი, რომ ქვეყანაში სამართლიანობა იმ ფორმით არ აღდგა, რაც ვთქვით და ქონება უკან არ დაბრუნებულა.

2008 წელს, მამაჩემი რომ გარდაიცვალა, ორ კვირაში 14 ათასი ლარი გადავიხადე. ამჟამად ჯანდაცვის სისტემა წარმატებით მუშაობს და ეს თანხა გადასახდელი აღარ არის. ამას გარდა, უფასო სახელმძღვანელოები რიგდება და ხვნათესვა უფასოდ ხდება. ქვეყანაში მარტო ის რომ მომხდარიყო, რაც C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით ხდება, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლა მარტო ამიტომ ღირდა.

– პრეზიდენტი რეზიდენციასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს მასსა და ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირებს. მსგავსი შთაბეჭდილება თქვენც გრჩებათ?

– ათონელის ქუჩაზე ულტრათანამედროვე შენობა ააშენეს და იქ საუცხოო ოფისია. მე შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადგილი აქვს ჯიბრს. პრეზიდენტი საკუთარი თავის წინააღმდეგ მიდის, ანუ იმას ეჯიბრება, რაც მან პრეზიდენტობამდე თქვა. გიორგი მარგველაშვილი რას ლაპარაკობდა, ამოიღეთ და დადეთ. ვინაიდან ავლაბრის რეზიდენცია დიდ კომუნალურ ხარჯებს მოიცავს, პრეზიდენტის ფუნქციებიდან გამომდინარე, ხომ არ სჯობდა, რომ ის ათონელის ქუჩაზე გადავიდეს?! როცა ბატონი გიორგი კენჭს იყრიდა, მას თან დავყვებოდი, მისი პროგრამა ახლაც ყურში მესმის და მახსოვს, მას რა დამოკიდებულება ჰქონდა. ახლა ეს ყველაფერი რომ შეიცვალა, ხომ „გაგიტყდება“? თავის დროზე გუნდი ასე რომ ლაპარაკობდა და შენც თანახმა იყავი, ახლა რა მოხდა? პრეზიდენტის დისკრიმინაცია ის იქნებოდა, რომ ის 1000 კვ მეტრში შეგვეშვა და მისთვის ლამაზი და გარემონტებული შენობა არ შეგვეთავაზებინა.

– მმართველი გუნდი პრეზიდენტის კრიტიკას არ ერიდება. ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ მას თავის დროზე ბიძინა ივანიშვილთან პირადი ურთიერთობა აერია?

– ყველანაირ დაპირისპირებას აქვს თავისი ლოგიკა. პრეზიდენტსაც შეუძლია საკითხი ახსნას, დაალაგოს და აქ საჩხუბარი არაფერია.

– ბიძინა ივანიშვილის მიმართ კითხვები არ გაქვთ, მარგველაშვილს რატომ დაუპირისპირდა? ივანიშვილი სააკაშვილსაც დაუპირისპირდა და მისი რეჟიმი ხელისუფლებიდან გაუშვა, ამჟამად კი, მან მარგველაშვილი აითვალწუნა. სოციალურ ქსელებში ეჭვები გამოთქვეს, რომ ყოფილ პრემიერს პრეზიდენტმძულვარება სჭირს...

– მათ ერთმანეთთან რა გაურკვევლობა აქვთ, ეს მათი საქმეა. ევროპაში გიორგი მარგველაშვილს, როგორც პრეზიდენტს, აღიქვამენ?

– რა თქმა უნდა, აღიქვამენ...

– მეც გეთანხმებით, მაგრამ ბრიუსელში, ევროპარლამენტში ერთ მხარეს სააკაშვილი რომ იჯდა და მეორე მხარეს, მარგველაშვილი, ამას როგორ ამიხსნით?

– ამ შემთხვევაში მარგველაშვილი რა შუაშია, თუკი ევროპარლამენტში სააკაშვილი დაპატიჟეს?

– როცა რაღაცას არასწორად ვაკეთებთ, ამერიკასა და ევროპას რეაქცია იმ წუთშივე ხომ აქვს? მინდოდა, მომესმინა, რომ მსგავსი ფორმატი მიუღებელი იყო. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სააკაშვილი მარგველაშვილის ახლოს არ უნდა დამჯდარიყო. დარბაზი დიდი იყო და სააკაშვილი სხვაგან ვერ დაჯდებოდა? რაც შეეხება ივანიშვილს, ის ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელსაც ადვილად შეუძლია იმ საკითხებზე ისაუბროს, რასაც გულში ფიქრობს. ის ადამიანი პრემიერი აღარ არის და ისე საუბრობს, როგორც სურს.

მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ლუკა კურტანიძეს, ნონა გაფრინდაშვილს და მე გვარებით დაგვიძახა, მის წინაშე მორალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. როცა რაღაცას ვაპირებ, იმის უფლება არ მაქვს, მას არ ვუთხრა - ამას ვაპირებ ძმაო-მეთქი. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მას ვემონები, არამედ ჩემთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი სიმართლეა. ჩემი სიმართლე მას უნდა ვუთხრა და მისთვის ძალიან ბევრი რამ მაქვს ნათქვამი.

– პრეზიდენტის საქმიანობის მიმართ კითხვები გაქვთ? მისი კონსტიტუციური უფლებებიდან გამომდინარე, მისი მმართველობა მოგწონთ?

– ის ყველას პრეზიდენტია და აქედან გამომდინარე, შეიძლება ვინმესთან დაკავშირებით მისი განცხადება არ მომეწონოს, მაგრამ მისი გადმოსახედიდან ის სწორი იყოს. მან რატომ უნდა გამაღიზიანოს, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ავლაბრის რეზიდენციასთან დაკავშირებით პოზიცია რატომ შეიცვალა და რასაც ლაპარაკობდა, მისი საწინააღმდეგო რატომ გააკეთა? რომ დავსხდეთ და აღნიშნულ საკითხზე დავილაპარაკოთ, შეიძლება მისმა განმარტებამ რაღაცაში დამარწმუნოს, მაგრამ ახლა მის პოზიციას ვერ ვგებულობ.

– „ქართულმა ოცნებამ“ ავლაბრის რეზიდენცია რატომ მოიძულა, იმის გამო, რომ ის სააკაშვილმა ააშენა?

– არა მგონია, რომ ეს ასე იყოს. ნაციონალურ მოძრაობას ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა ჰქონდა და ამ ფონზე საზოგადოებაში გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ ავლაბრის რეზიდენცია 500 მილიონი დოლარი დაჯდა, პარალელურ რეჟიმში ქუთაისში 340 მილიონლარიანი შენობა ააშენეს, თბილისში მდებარე შენობა კი დაანგრიეს.

– თქვენ ამბობთ, რომ სამართლიანობის აღდგენის ტემპები შენელებულია, პარლამენტის შენობა დაანგრიეს, თუმცა, პასუხი კი არავის აგებინეს. ხელისუფლებაში თქვენ ხართ და ამ ყველაფერზე თუნდაც პარლამენტის ტრიბუნიდან რატომ არ საუბრობთ?

– ყველგან ვაფიქსირებ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მოიკოჭლებს. ასევე ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან ორი თვის თავზე ვთქვი, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება კარგი იქნებოდა-მეთქი. მაშინ ჩემი ეს განცხადება ხალხს გაუკვირდა და თქვეს, ამან ხომ არ გააფრინაო?! ამას გარდა, ყოფილმა პრემიერმა თქვა, რომ მაჟორიტარებს შორის ფეოდალებიც არიანო და აღვნიშნე, რომ ფეოდალი არ ვარ, რადგან პროცესებში დეპუტატობამდეც ვერეოდი და ახლაც ჩავერევი-მეთქი, რადგან ამომრჩეველმა ნდობა გამომიცხადა-მეთქი. კრიტიკას მე არ ვაფიქსირებ? ინტერპოლმა ადეიშვილს ძებნა რატომ მოუხსნა და ახალაია რაღაც ეპიზოდებში რატომ გაამართლეს?

– ვისი ბრალია, თუკი ახალაია გაამართლეს და ადეიშვილს ძებნა მოუხსნეს? პროკურატურის სუსტ მუშაობას ვერ ამჩნევთ?

– ამ საკითხებზე საუბარი ხშირად მიმდინარეობს.

– სად მიმდინარეობს?

– როცა დეპუტატები ერთმანეთს ველაპარაკებით, ამ საკითხებზე ვსაუბრობთ და მე პირადად მეტი რა გავაკეთო, შარვლიდან ამოვხტე? ეს ყველაფერი იმის ბრალია, ვინც ამაში კომპეტენტურია, საქმე ისე უნდა გააკეთოს, როგორც საჭიროა. თემურ ბასილია გამოდის და ამბობს, რომ ადეიშვილს ძებნას სახელმწიფოს თანხმობის გარეშე ვერ მოუხსნიდნენ. კითხვები ჩნდება და თქვე კაი ადამიანებო, ვისაც ეს გეხებათ, გამოდით და ხალხს პასუხი გაეცით. გაზეთებში იწერება, პროკურატურა გარიგებაში შევიდაო და არ სჯობს, კომპეტენტური განმარტება გააკეთონ – ადეიშვილს ძებნა რატომ მოუხსნეს? ჟურნალისტები დამესიენ და მომთხოვეს, ლევან ყიფიანის მიმართ არსებული კითხვები გვითხარითო. მათ ჰგონიათ, არც ლაპარაკი ვიცი და ვერაფერს ვიტყვი?

– ყიფიანის მიმართ, რა კითხვები გაქვთ?

– სპორტი შეიძლება დარბაზებისა და ბაზების გარეშე განვითარდეს? რამდენიმე ასეული ბაზა გასხვისებულია და ეს ქონების მართვის სააგენტოს მოვკითხოთ? მას უნდა მოვკითხოთ, მაგრამ როცა მინისტრი ხარ, უნდა დაინტერესდე, ინვესტორმა პირობები შეასრულა თუ არა. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტმა მინისტრის მიმართ კითხვები დასვა და ჩვენ ვთქვით, რომ მინისტრი სახლში გავუშვათ-მეთქი? მის მიმართ კითხვები დავსვით და დასკვნა დავდეთ – სამინისტრომ რა არ გააკეთა.

– კომიტეტმა ლევან ყიფიანის უწყების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და დოკუმენტი შემდგომი რეაგირებისთვის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გადაუგზავნა. მთავრობის ხელმძღვანელი რას აპირებს?

– რა რეაგირებას მოახდენენ, ამას, ალბათ, გვეტყვიან. ჟურნალისტებმა მკითხეს, ბიძინასთან ასული რომ იყავით, ამ საკითხებზე ილაპარაკეთო?! ყველამ ყველაფერი იცის და ხომ არ შეიძლება, რომ ადამიანმა ყველაფერი აღდგომას ისაუბრო?

– თქვენ მინისტრის მიმართ პრეტენზია გაქვთ, მაგრამ ყიფიანი თქვენ „საბჭოთა კავშირის გადმონაშთებს“ გიწოდებთ და თქვენს ქმედებებში პოლიტიკურ ინტერესებს ხედავს...

– არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, ჩემს ჯიშჯილაგს ხელები არსად უფათურებია, მუქთად არასოდეს არაფერი არ მიმიღია. ასევე 50 ფილმში ვითამაშე და სტუდიიდან არც ბინა მიმიღია და არც ავტომობილი. მთელი ცხოვრება როლებზე მამტკიცებდნენ და დეპუტატადაც ამირჩიეს. დანიშნული არც ერთ პოსტზე არ ვყოფილვარ და ხელი არსად მიფათურებია. ჩემს თავზე იმას არ მივიღებ, რომ, თურმე, ინტერესებს ვატარებ. სამივე შვილი ძალიან მაგარი ბიჭი მყავს. ჩემი ერთი შვილი პრაღაში სწავლობს, მეორე – საქართველოში და ორივე სწავლის შემდეგ, საღამოს მიმტანებად მუშაობენ, იმიტომ, რომ მაგარი ბიჭები არიან და ზოგიერთებივით „პ.....ები“ არ არიან, ისეთები, ზოგიერთებს რომ ჰყავთ! ჩემს ოჯახში შემოდით და არ გაინტერესებთ, როგორ ვცხოვრობ? ჩემი კლასელი მოვიდა და მითხრა, მეგონა ერმიტაჟში ცხოვრობდიო. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ხელებს ვაფათურებ, ხელების ფათური და ტენდერები იქით მოიკითხონ!

– ტენდერებში და ხელების ფათურში სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას გულისხმობთ?

– სპორტის სამინისტროსაც, პეტრესაც, პავლესაც, ჩემს გუნდსაც და ოპოზიციასაც. საბჭოთა გადმონაშთი ვინაა, ხალხმა ძალიან კარგად იცის. შეიძლება ახალ ეპოქაში დაიბადო, მაგრამ გადმონაშთი პირველი თემური წყობილებიდან იყო. ასეთი ლაპარაკი პრიმიტივიზმია.

– მინისტრი ასე რატომ გაანაწყენეთ, რომ თავის თავს უფლებას აძლევს და დეპუტატებს „გადმონაშთებს“ გიწოდებთ?

– საამაყო, იცით, რა მაქვს? მამაჩემი სამხედრო კომისარი იყო, კომისრები ფულის აღებასთან ასოცირდებოდნენ, მაგრამ თუკი ვინმე საქართველოში ერთი კაცი მაინც იტყვის, რომ ამირან ჯაჭვლიანს მისგან ფული აქვს აღებული, მას ექვსივე შვილი კონვერტირებულ ფულს უკან დავუბრუნებთ. ასეთი საქართველოში არ მოიძებნება, რადგან მამაჩემი მაგარი კაცი იყო და მისი შვილები ვართ. მამაჩემს ცრემლს ვერ გადმოაგდებინებდით და მან სიკვდილის წინ რა გვითხრა, იცი? რომ მოვკვდები, მომენატრებითო. ერთმანეთს მოვენატრებით და სჯობს, წესიერად ვიცხოვროთ.

– ყიფიანმა პოსტი უნდა დატოვოს?

– კომიტეტმა დასკვნა დადო და შეიძლება ის იმას არ შეესაბამებოდეს, როგორც პრემიერ-მინისტრი ფიქრობს. მთავრობა იმიტომ არსებობს, რომ საკუთარი შეფასება ჰქონდეს.

– for.ge-ს ინფორმაციით, შესაძლოა მინისტრს იმპიჩმენტი პარლამენტიდან გამოუცხადოთ. მსგავსი სცენარი მოსალოდნელია?

– ამ ვითარებაში კორექტულად ვიქცევით და თუ ვინმე ლანძღვას დაიწყებს, საკუთარ თავს დაიზიანებს. ისე კი არ უნდა გააკეთო, რომ ხალხი გააცოფო და გადმონაშთები უწოდო. გუნდმა ერთად უნდა ისაუბროს და რაც გამოსასწორებელია, უნდა გამოსწორდეს. შეუცდომელი მხოლოდ უფალია, დანარჩენები ცოდვილები ვართ.

თეონა მანაგაძე

◎ ახალი რვეულიდან

გურამ ჭავჭანიძე

გაზაფხულმა მოიქცევინა...

რომ არ მოვიდეს, რა აპრილია...

როცა აპრილი ისე თბილია,
ვით საყვარელი ქალის სინაზე,
რომ არ მოვიდეს, რა აპრილია,
თებერვლისა და მარტის ჯინაზე!

როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს
შენი საუნჯე ნურც დაგეცლება,
ვიცი, გული გაქვს ისეთი ფართო,
უსიყვარულოდ არ გაგეძლება.

როცა სიმშვიდე შენი წლებია,
გული ძალუმად აგიძგერდება,
როცა შეიცნობ, რა შეგძლებია,
ის გული აღარ დაგიბერდება.

შენი აპრილიც ისე თბილია,
როგორც შენა და შენი სინაზე,
რომ არ მოვიდეს, რა აპრილია,
თებერვლისა და მარტის ჯინაზე!

„შენი ღიმილის გადასარჩენად“

(ეთერ ზარიძეს)

როცა გეწვია „ღამის მეკობრე“
დარდს ნუ მოიხვევ ღრუბლის
გუნდებად,
უხმე შენსავით ერთგულ მეგობრებს
და რწმენა ისევ დაგიბრუნდება,

წარსული ვინ არ გამოიგლოვა
და უიმედოდ არ ღირს დარჩენა,
აპრილიც მოვა, უთუოდ მოვა,
შენი ღიმილის გადასარჩენად.

შენ ისეთი კარგი ხარ

(ეთო ფერაძეს)

შენ ისეთი კარგი ხარ
და ისეთი ლამაზი,
როგორც შენი ფიქრები,
როგორც შენი ოცნება,
ისე თვალსაამო ხარ
და ისეთი ხალასი,
როგორც დილა აპრილის,
მზით რომ დაიკოცნება!

ფრთხილად!

მინდა, მივმართო იმათ,
ვისაც ღალატობს გონი,
ფრთხილად, რუსეთის მიმართ
ისევ გეშლებათ მგონი!

ღმერთმა შეგინდოთ

არა მგონია იყოთ მართალი,
ქართველთ მოძულეს ვინც რას
პატიობთ,
ღმერთმა შეგინდოთ ეგ სამართალი,
ერმა იქნება არც გაპატიოთ.

არავითარი!

ბევრი ბანდიტი თუა მდიდარი,
სიკეთეც ბევრი იქნება?
არავითარი, არავითარი!
რაცა გვაქვს, ისიც გვიქრება.

ხაზარაძეს რას ვერჩით, როცა...

ისეთი სისტემა მკვიდრდება,
მდიდარი სულ უფრო მდიდრდება,
ის კი, ვინც ვერაფერს „ქაფავს“,
ვაი, რომ სულსაცა ღაფავს!

* * *

ვინც ცალ-ცალკე კალოშით
ჩამოსულ იყავით,
ნეტავი სულაც არ ჩამოსულიყავით!

◎ მწიგნობარი – 2014

ერთ ალმანახში ჩატეული ისტორია

მეოთხედ საუკუნეზე მეტია საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ქართველ საზოგადოებას თავის ყოველწლიურ ანგარიშს ბატონ **ნოდარ ტაბიძის** რედაქტორობით გამოცემულ „მწიგნობარით“ აბარებს. უშესანიშნავესი ალმანახის, რომელიც წიგნებსა და წიგნის შემქმნელებზე, ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე, სრულფასოვან ძიებებზე წიგნის სამყაროში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მწიგნობრებზე მოგვითხრობს, მაღალპროფესიონალურ დონეზეა გამოცემული.

ტრადიციისთვის „მწიგნობარს“ არც შარშან უღალატია და მორიგ ყოველწლეულში ისეთ თვალსაჩინო მამულიშვილებზე თხრობითა და გახსენებით მოგვგვარა სიხარული როგორებიც გახლავან **დიმიტრი ყიფიანი** (რომლის 200 წლის იუბილეც შესაფერისად აღნიშნა ქართველმა საზოგადოებამ) და **რაფიელ ერისთავი**.

„ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც კი ჰგრძნობს, თუმცა, არ ჰხედავს“ – დიდი ილიას ამ სიტყვების შესავლით გვიხატავს ბატონი **თამაზ ჯოლოგუა** სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის პორტრეტს. მეტად საინტერესო ფაქტებისა და თანამედროვეთა მოგონებების ნაკრებითაა შეჯერებული ქალბატონ **მარინე სხირტლაძის** წერილი **„იგი იყო კაცი ხასიათისა“**. დიდი აკაკის, ია კარგარეთელის, ანა ხახუტაშვილის, ილია ფერაძისა და სხვათა მოგონებებით მართლაც ბევრ ახალს შეიტყობს საზოგადოება დიმიტრი ყიფიანის შესახებ.



თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი კი ქართული მწერლობის პატრიარქის, როგორც მას ქართული საზოგადოებრივი აზრის საინტერესო მეისტორიე იაკობ მანსვეტაშვილი უწოდებდა, რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 190 წლის იუბილეს ეხმიანება და დიდ მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეზე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის.

ქართული ლექსის რეფორმატორისა და ვირტუოზის, პოეტ-ნოვატორის ალექსანდრე აბაშელის 130 წლის იუბილეს ეხმაურება შესანიშნავი წერილით ქალბატონი **ზოია ცხადაია**.

წიგნის მოყვარულთათვის ნაცნობია ყალმისა და ფუნჯის უშესანიშნავესი დიდოსტატის, მხატვარ-გრაფიკოსის ჯემალ ლოლუას სახელი. მის მიერ შესანიშნავად დასურათებულ წიგნებსა და ცალკეულ ნაწარმოებთა ილუსტრაციებზე გაიზარდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ახალგაზრდობა. ერთია დიდი ნაწარმოები და არანაკლებია ლამაზად დასურათებული წიგნი თუ ჟურნალი, რომელიც ამ ნაწარმოებს წაგაკითხებს. ასეთი შემოქმედი გახლავთ ჯემალ ლოლუა. იგი ხომ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მწერლების ნამდვილ თანაავტორად ითვლება თავისი შემოქმედებით. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – მარკ ტვენის, ჩეხოვის, ილფისა და პეტროვის, ოვანეს თუმანიანის, ნოდარ დუმბაძის, თამაზ ბიბილურის, ქართული ხალხური თუ მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, მულტიპლიკაციური ფილმები. სიცოცხლის ბოლოს საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ქმნიდა უშესანიშნავეს ექსელბრისებს. მხატვრის შემოქმედებაზე გვესაუბრება ქალბატონი **მარიამ გაჩეჩილაძე** მხატვრისადმი მიძღვნილ წერილში – **„მაღალი რანგის შემოქმედი“**.

ბევრმა როდი იცის, რომ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში ინახება ვერგილიუსის პოემების უძველესი აკადემიური გამოცემა, რომელიც 1581 წელსაა დაბეჭდილი ჰანს შტაინმანის მიერ. წიგნი 12 ქსილოგრაფიირითაა გაფორმებული, მათზე დატანილ ანონიმურ ავტორთა ინიციალებით. წიგნი თავისი პოლიგრაფიული დონითა და გაფორმებით მიგვანიშნებს გერმანელ მესტამბეთა ესთეტიზმსა და დიდ კულტურულ ტრადიციებზე. სწორედ ამ უნიკალური გამოცემის შესახებ მიგვითხრობს ალმანახში ქალბატონი **მანანა სამაშვილი**.

გარდა ზემოთ ხსენებული წერილებისა „მწიგნობარში“ სხვა საინტერესო თემატიკაზე გვესაუბრებიან ბატონები **ბონდო არველაძე, მიხეილ ქავთარია, სამსონ ლეჟავა, ალექსანდრე ლორია, გიორგი წერეთელი, ქალბატონი ნინო ჯიშკარიანი** და სხვა ავტორები.

ალმანახი ტრადიციულად სრულდება მწიგნობართა ასოციაციის მიერ განხილული და ჩატარებული 2014 წლის ფაქტების, მოვლენებისა და ღონისძიებების ჩამონათვალით.

მამუკა ვაშაკიძე

ყველაზე ძვირადღირებული რესტორნები საქართველოში

ნებისმიერ რესტორანში, რომლის მენეჯმენტიც დაწესებულების იმიჯზე ზრუნავს, ცდილობენ, სტუმრებს გემრიელი კერძები და სასიამოვნო გარემო შესთავაზონ. კარგი რესტორნის სტუმრობა ძვირი სიამოვნებაა. მაგალითად „ფორბსის“ შეფასებით, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული რესტორანი ტოკიოში მდებარე

Aragawa-ა, სადაც ერთი ულუფა საფირმო ხორცის კერძი 227 დოლარი ღირს. პარიზულ Arpege-ში ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი ერთ პერსონაზე 211 დოლარი ჯდება, სიდნეის ყველაზე ძვირადღირებულ რესტორანში მოსახვედრად კი რამდენიმე თვით ადრე უნდა ჩაეწეროთ. „ფორბსი“ წერს, რომ Tetsuya's Restaurant-ის შეფმზარეული სტუმრებს ფრანგულ და იაპონურ კერძებს სთავაზობს, რომლის ერთი ულუფა 135 დოლარი ჯდება.

bpn.ge დაინტერესდა, რომელია ყველაზე ძვირადღირებული რესტორანი საქართველოში. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ძვირადღირებული რესტორანი მთაწმინდაზე მდებარე „ფუნიკულიორი“ გახლავთ. სტანდარტული მენიუს ფასი ერთ პერსონაზე 130 ლარს აჭარბებს. როგორც „ფუნიკურიორის“ მენეჯერმა გვითხრა, რესტორნის მთავარი ხიბლი მისი ხედებია. რესტორნის ტერასიდან ქალაქის ულამაზესი ხედები იშლება. „ფუნიკულიორის“ საფირმო კერძი „ღორის ფერდია“, რომლის ფასი 50 ლარია.

ჩვენი გამოცემის გამოკითხვით, ძვირადღირებული რესტორნების ნუსხაში მოხვდა „ქალაქური“, სადაც ერთ პერსონაზე სტანდარტული მენიუს ფასი 97 ლარია. როგორც რესტორან „ქალაქურის“ მენეჯერმა გვითხრა, რესტორანი განახლებული ინტერიერით, უმაღლესი დონის სერვისით, უგემრიელესი კერძებითა და მხიარული გარემოთი იზიდავს სტუმრებს. ადგილობრივი ძვირადღირებული რესტორნების ჩამონათვალში მოხვდა „სენატი“, რომელსაც ხშირად სტუმრობენ უცხოელები. აქ მენიუს ფასი 1 პერსონაზე 95 ლარამდე მერყეობს.

რესტორნებისგან განსხვავებით, მენიუზე დადგენილი ფასები არა აქვთ სასტუმროებში მდებარე რესტორნებს. როგორც სასტუმროს მენეჯერები აცხადებენ, ფასი კერძების მიხედვით იცვლება. ერთი კონკრეტული კერძის ფასი ამ შემთხვევაში 20 ლარიდან იწყება და 60 ლარსაც კი აჭარბებს.

თიკო გურაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

გაიხსნა ახალი სასტუმრო

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქში ახალი, მერიის იაფი სესხის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული სასტუმრო „ციტრუსი“ გახსნა.

სასტუმროს გახსნას დაესწრნენ მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი ბერეკაშვილი, მთაწმინდის გამგებელი გელა არჩვაძე და მოწვეული სტუმრები.

თბილისის მერის განცხადებით, ახალი, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს გახსნა დედაქალაქისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უახლოეს მომავალში თბილისი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს და მოსალოდნელია ვიზიტორების მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან, სასტუმროს გახსნა ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას.

„სასტუმრო „ციტრუსი“ მერიის „იაფი სესხის“ პროექტის ფარგლებში 1 მილიონი ლარით დაფინანსდა.

სასტუმროს გენერალური მენეჯერის შალვა ალავერდაშვილის თქმით, შშმ პირებისთვის სასტუმროს მთლიანად ადაპტირება მერიის ინიციატივით განხორციელდა. მისივე თქმით, სასტუმრო ვიზიტორებს ბალნეოლოგიური ცენტრის მომსახურებასაც სთავაზობს.

მერიის ინფორმაციით, სასტუმროში 36 ნომერი, ბარი, რესტორანი და საკონფერენციო დარბაზია განთავსებული, აქვს საკუთარი პარკინგის ადგილი. სასტუმროში 45-მდე ადამიანია დასაქმებული.

ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „ციტრუსი“ თბილისის ცენტრალურ უბანში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარეობს და ერთდროულად 80-მდე სტუმრის მიღება შეუძლია. სასტუმროს მშენებლობაზე 3,5 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ბელარუსი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების უღიარებლობა უცვლელი რჩება

ბელარუსის პოზიცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის უღიარებლობასთან დაკავშირებით უცვლელი რჩება — ამის შესახებ განაცხადა საქართველოში ვიზიტად მყოფმა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ. ბელარუსის ლიდერის სიტყვებით, დაპირისპირება თბილისსა და მოსკოვს შორის ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და, როგორც მას მიაჩნია, იგი შეიძლება გადალახული იქნეს.

„ჩვენი პოზიცია იმ პრობლემებთან დაკავშირებით რომლებიც იყო, უცვლელი რჩება. წინაალმდეგ შემთხვევაში მე არ ჩამოვიდოდი“, — განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე თბილისში, როდესაც უპასუხებდა ჟურნალისტის შეკითხვას რუსეთის ფედერაციის მოქმედებების შეფასებასთან დაკავშირებით.

ამავე დროს ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მან და საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განიხილეს, „თუ რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას იმისთვის, რომ მოხდეს ურთიერთობათა ნორმალიზაცია“ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის და რომ მალე ცნობილი გახდება მისი და მარგველაშვილის „შეთანხმების“ შესახებ.

ბელარუსის პრეზიდენტის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ საქართველო, რუსეთი და ბელარუსი „იცხოვრებენ ერთ ოჯახში, როგორც ეს იყო ოდესღაც“ გამოიწვია ფართო რეზონანსი ადგილობრივ საზოგადოებში, ოპოზიციამ საქართველოს პრეზიდენტის განმარტება მოითხოვა. მიუხედავად ამისა, მარგველაშვილის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში თენგიზ ფხალაძემ დაარწმუნა ჟურნალისტები, რომ ბელარუსის პრეზიდენტს არ ჰქონდა მხედველობაში ამ ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება, არამედ გულისხმობდა ხალხთა დაახლოებასა და მეგობრობას.

პირველი ვიზიტი

ბელარუსის პრეზიდენტმა თავისი ვიზიტი საქართველოში 22 აპრილს დაიწყო უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინის მიტანით. მისი სიტყვებით, მეორე მსოფლიო ომის დროს ბელარუსს „ათასობით ქართველი ათავისუფლებდა“, შესაბამისად, მან მნიშვნელოვანი თარიღის წინა პერიოდში პატივი მიაგო ყველა ქართველს, ყველა საბჭოთა მეომარს, რომლებიც ომის წლებში დაიღუპნენ“. 23 აპრილს ლუკაშენკომ ასევე გვირგვინით შეამკო იმ გმირთა მონუმენტი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის დაშლიდან მთელი პერიოდის განმავლობაში ესაა პირველი ვიზიტი ბელარუსის ლიდერისა საქართველოში.

თანამშრომლობა და პრეტენზიები

საქართველოსა და ბელარუსის წარმომადგენლებმა 23 **აპრილს თბილისში გააფორმეს მთელი რიგი შეთანხმებები ორმხრივი თანამშრომლების შესახებ სხვადასხვა სფეროებში. ასევე მარგველაშვილმა და ლუკაშენკომ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს-ბელარუსის ურთიერთობათა განვითარების ხასიათი შეესაბამება საქართველოს და ბელარუსის ინტერესებს“.**

ლუკაშენკოს სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გააფორმა შეთანხმება ასოციაციის შესახებ ევროკავშირთან, ბელარუსი კი შედის ევრაზიული კავშირის შემადგენლობაში, ქვეყნები შეძლებენ, განავითარონ ეკონომიკური თანამშრომლობა ისე, რომ პარტნიორებს ეუთოსა და ევრაზიის კავშირში „არ ჰქონდეთ პრეტენზიები“.

მიუხედავად ამისა, პირველი პრეტენზიები ბელარუსის პარტნიორისგან ევრაზიული კავშირიდან უკვე გაისმა, თუმცა, სრულიად სხვა საკითხთან დაკავშირებით. ერევანში გამოთქვეს უკმაყოფილება, რომ პრეზიდენტი ლუკაშენკო არ დაესწრება სამგლოვიარო ღონისძიებებს პირველი მსოფლიო ომის დროს სომეხთა მასობრივი მკვლელობის 100 წლისთავთან დაკავშირებით.

Voice of America

საით უხმობს ლუკაშენკო საქართველოს?

24 აპრილს დაიწყო საქართველოში ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტის ოფიციალური ნაწილი. დილიდანვე ალექსანდრ ლუკაშენკო შეხვდა თავის კოლეგა გიორგი მარგველაშვილს და განიხილა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების საკითხები.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ და მისმა ქართველმა კოლეგამ გიორგი მარგველაშვილმა მაინც გაიარეს წითელი ხალიჩა პრეზიდენტის რეზიდენციაში. შენობაში შესასვლელთან სახელმწიფოთა მეთაურებს ელოდებოდნენ ქართველი და ბელარუსი მინისტრები. ორი ქვეყნის ჰიმნების ხმაზე და ფოტოაპარატების ამოქმედების შემდეგ მოეწყო ბელარუსის დელეგაციის ოფიციალური გაცნობა საქართველოს მთავრობის წევრებთან. ხელის ჩამორთმევის შემდეგ პრეზიდენტები წავიდნენ მოსალაპარაკებლად. იმ დროისათვის, როდესაც პრეზიდენტები გამოჩნდნენ ჟურნალისტების წინაშე, ორ ქვეყანას შორის უკვე ხელმოწერილი იყო მთელი რიგი დოკუმენტები ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, უფრო ზუსტად კი: „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა და ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“, „შეთანხმება სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ეროვნულ აკადემიასა და ბელარუსის მეცნიერებათა აკადემიას შორის“ და „საქართველოსა და ბელარუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატების თანამშრომლობის შესახებ“.

ამ უკანასკნელი შეთანხმების მნიშვნელობა განსაკუთრებით აღნიშნა ორივე პრეზიდენტმა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ხომ საქართველოში ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტის მთავარი მიზანია.

ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტის წინ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სვამდნენ შეკითხვას: რამდენად არის შესაძლებელი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ორ ქვეყანას შორის, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, ბელარუსი კი იმყოფება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შემადგენლობაში? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი:

„ბელარუსის ბაზრის 80 პროცენტი — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა, სამწუხაროდ, საქართველოში ეს ციფრი ნაკლებად შთამბეჭდავია, ჩვენ გვინდა, ეს გამოვასწოროთ და არანაირი პრობლემა თანამშრომლობისთვის არ არსებობს. ამასთან ერთად საქართველოც ხსნის თავის შესაძლებლობას ბელარუსისთვის. აქ არის დიდი შესაძლებლობანი ევროპასთან ვაჭრობაში. ამ კავშირებს ჩვენ უყურებთ როგორც ახალ პოტენციურ ბაზრებს, ახალ შესაძლებლობებს ინვესტიციებისთვის ბიზნესში“.

უფრო კონკრეტულად ამ შეკითხვაზე უპასუხა ალექსანდრ ლუკაშენკომ, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს ვალდებულებანი ევროკავშირის წინაშე და ბელარუსისა — ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წინაშე არ უპირისპირდება ორი ქვეყნის ურთიერთობებს.

მეორე შეკითხვა, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებმა მოახერხეს, მიეცათ ბელარუსის პრეზიდენტისათვის, შეხებოდა საქართველოსთვის მტკივნეულ თემას. ჟურნალისტები შეეკითხნენ ლუკაშენკოს, ხომ არ შეიცვალა მინსკის პოზიცია თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის უღიარებლობის საკითხზე. ამაზე ბელარუსის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ რაიმე რომ შეცვლილიყო, ეს ვიზიტი საერთოდ არ გაიმართებოდა...

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

დედამიწის ზურგზე

ნატოს გენერალურმა მდივანმა ბრალი დასდო რუსეთს უკრაინის საზღვართან სამხედრო კონტინგენტის გაზრდის გამო

იენს სტოლტენბერგის სიტყვებით, ნატო აღნიშნავს „რუსეთის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან გაზრდას“ უკრაინის საზღვრების გასწვრივ და მის ტერიტორიაზეც მინსკის შეთანხმების დარღვევით. მან ასევე განაცხადა, რომ ალიანსისთვის უცნობია რუსეთის ფედერაციის მოტივები, თუმცა, მისი შესაძლებლობები მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატები 2016 წელს ისრაელს მიანვდის მრავალმიზნიან გამანადგურებელ ფ-35-ს

როდესაც ისრაელის დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე გამოდიოდა, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ გაისად ებრაელთა სახელმწიფოს გადასცემენ თვიმფრინავებს ფ-35-ს, რაც თელ-ავივს საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს ხარისხობრივი უპირატესობა რეგიონში: ისრაელი იქნება ერთადერთი ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში, რომელსაც ეყოლება მეხუთე თაობის გამანადგურებლები. ასეთი მანქანების საერთო ოდენობა 33 მიაღწევს.

ესტონეთმა უარი განაცხადა რუსეთთან ერთად ერთობლივ სასაზღვრო სწავლებაზე

ტალინის ამ გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა ესტონეთის ევროდეპუტატმა ურმას პაეტმა. მისი სიტყვებით, სწავლებაზე უარი განაცხადეს ლატვიამ და ლიტვამაც. პაეტმა განაცხადა, რომ გაუგზავნა წერილი ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ დაგეგმილი ერთობლივი სწავლება ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციისა „დასავლეთი-2015“„უადგილოა დღევანდელ საერთაშორისო სიტუაციაში“.

ობამამ გვერდი აუარა გენოციდის ხსენებას განცხადებაში სომეხთა მასობრივი დახოცვის 100 წლისთავთან დაკავშირებით

1915 წელს სომეხი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობის წლისთავი მეტყველებს ისტორიის შენარჩუნების მნიშვნელობაზე და იმის აუცილებლობაზე, რომ ანგარიში გავუწიოთ წარსულს, ნათქვამია თეთრი სახლის პრეს-სამსახურის მიერ გავრცელებულ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადებაში.

საქართველოს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამშობლოს“ წევრები ბელარუსში, სასტუმრო „ბელარუსოჩკას“ დამსვენებლებთან ერთად

ბელარუსი – სტაბილურობის ოაზისი

რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, სსრ კავშირის კრახის შემდეგ ბელარუსის რესპუბლიკამ ლუკაშენკოს ხელმძღვანელობით, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესუბლიკისგან განსხვავებით, არა თუ არ შეანელა თავისი განვითარება, არამედ სამრეწველო წარმოების ბევრ მონაკვეთზე მიაღწია მის მნიშვნელოვან ზრდას. ეს არის ადგილობრივი პროდუქცია – მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული გიგანტური ავტოთვითმცლელები „ბელაზები“, „მაზები“, ტრაქტორები, კომბაინები, ტროლეიბუსები, ავტობუსები, ვაგონები, მძიმე მოწყობილობა და ბევრი რამ, დაწყებული უბრალო ლურსმნიდან და ჭანჭიკიდან, დამთავრებული უზარმაზარი აგრეგატებით. ამასთან, რასაკვირველია, არის სირთულეები რეალიზაციაში, ბევრი საწარმოს საწყობები სავსეა მზა პროდუქციით. მაგრამ მუშათა კლასი, მშრომელები მუშაობენ, ღებულობენ ხელფასებს. საწარმოთა ხელმძღვანელობა მთავრობასთან ერთად ეძებს გზებს საწყობების განტვირთვისთვის – ხან ბარტერის გზით, ხან საქონლის დიდი ჩამოფასებით შემდგომ მათი განაღდების პირობით. ამ და სხვა ძალისხმევებით ხელისუფლება ხალხთან ერთად ისწრაფვის, რომ არ მისცეს დასუსტების საშუალება მსოფლიოში უკვე აღიარებულ შემდგარ სახელმწიფოს. სწორედ დასავლეთი, რომელიც ლანძღვას არ აკლებდა ლუკაშენკოს, ახლა აცხადებს: „ლუკაშენკო – ეს არის ლიდერი, რომელმაც გვიჩვენა, თუ კომუნიზმიდან როგორ შეიძლება შეხვიდე დემოკრატიაში და ბაზარში. მინიმალური დანაკარგებით“!

ბელარუსი – პროგრესის რესპუბლიკაა, განახლების ქვეყანა, ყველგან მიმდინარეობს მასობრივი საბინაო მშენებლობა. 2015 წელს აქ იგეგმება აშენდეს 5 მილიონი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი (!). ეს ყოველივე იზიდავს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მეტ ინვესტორს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ომის წლებში ბელარუსმა დიდი ტანჯვა განიცადა. რესპუბლიკა ნანგრევებში იყო, მინსკი თითქმის მთლიანად დაინგრა. ძალიან მოკლე ვადებში ბელარუსი, როგორც ფენიქსი, აღდგა ფერფლიდან, გახდა უფრო მიმზიდველი და ლამაზი.

უკანასკნელ ხანებში ბელარუსის დედაქალაქში გაჩნდა ახალი, თავისი არქიტექტურითა და ნოვატორული გაბედულებით გამაოგნებელი ნაგებობები. უწინარეს ყოვლისა, ესაა – ეროვნული ბიბლიოთეკა უდიდესი ევროპაში! იგი დამოუკიდებლობის მოედანზეა. ეს არის უზარმაზარი კუბი მინისაგან, ბეტონისა და ლითონკონსტრუქციებისაგან – ბელარუსის სიამაყე, ქ.მინსკის სავიზიტო ბარათი.

ქალაქის ცენტრს ამშვენებს უშესანიშნავესი რკინიგზის სადგური, რომელიც თავისი სისუფთავითა და მოვლილობით უფრო სამედიცინო დაწესებულებას ჰგავს, კომფორტითა და მყუდროებით კი – თეატრს! ახალი, მინითა და ლითონით გაბრწყინებული, ურთულესი არქიტექტურული ნაგებობა – ესაა ცნობილი ბელარუსი არქიტექტორის ვიქტორ კრამარენკოს არქიტექტორთა ჯგუფის ნაწარმოები, რომელიც შეიცავს მიწისქვეშა გადასასვლელების კომპლექსსაც. შენობას შეუძლია ერთდროულად 7 ათასამდე (!) მგზავრი მიიღოს. ყოველდღიურად მინსკიდან რუსეთის, უკრაინის, ყირიმის, ბალტიისპირეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქალაქებისკენ გადის საერთაშორისო მიმოსვლის 40-ზე მეტი მატარებელი. მარტო 2014 წელს ბელარუსის რკინიგზამ საერთაშორისო მიმოსვლაში 7 მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანა. ვაგზლის მოედანი ვაგზალთან ერთად ქ.მინსკის ღირსშესანიშნაობაა.

საქართველოდან მინსკში ჩაფრენილ მგზავრს განახლებული ეროვნული აეროპორტი ხვდება. ავიაკომპანია „ბელავიას“ დროებითი თვითმფრინავებიც კი მიფრინავენ აეროპორტ „მინსკ-2“-დან, რომელიც დსთ-ს საუკეთესო აეროპორტადაა მიჩნეული

დასასრული. დასაწყისი იხ. № 74

უცხოეთის 46 ქალაქში. სასიხარულოა, რომ აქედან სამი ავიამარშრუტი საქართველოზე გადის: თბილისი (სიგრძე 1.861 კილომეტრი, დრო გზაში – 2 საათი და 55 წუთი), ქუთაისი (შესაბამისად – 2.174 კილომეტრი, 2 საათი და 35 წუთი). სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ბელარუსები უფრო ხშირად არიან ხოლმე საქართველოში.

თავის დროზე ჩვენ ვამაყობდით თბილისის მეტროპოლიტენით. იგი, აგებული თითქმის 50 წლის წინათ (11.01.1966), მეოთხე იყო სსრ კავშირში, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის (გაიხსნა 1960 წელს) შემდეგ. ჩვენს მეტროს აშენებდნენ, სხვათა შორის, უკიდურესად რთულ გეოლოგიურ-ტექნიკურ პირობებში, ისეთი მაღალი კლასის სპეციალისტები, როგორიც იყო ვიქტორ გოცირიძე და საქართველოს ისეთი პატრიოტები, როგორებიც იყვნენ ვასილ მჟავანაძე და გიორგი გეგეშიძე. მეტროს განშტოებული ქსელის გარეშე დღევანდელ თბილისს უკვე ძალიან გაუჭირდებოდა „სუნთქვა“. აი, თითქმის 30 წელია საქართველოს დედაქალაქში ვერაფრით ვერ დააყენეს საშველი მიწისქვეშა უკანასკნელ პატარა, თანაც არართულ მონაკვეთს – „დელისი-უნივერსიტეტი“.

ჩვენგან განსხვავებით, დღევანდელი მეტროპოლიტენი ბელარუსის დედაქალაქში, რომელიც ჩვენზე გაცილებით გვიან აიგო და რომელმაც შარშან თავისი პირველი ხაზის საექსპლუატაციოდ გადაცემის 30 წელი აღნიშნა, კვლავ წარმატებით ვითარდება. თუ დასაწყისში მინსკის მეტროში 7,84 კილომეტრის 8 სადგური იყო, დღეს უკვე ექსპლუატაციაში მეტროს ორი ხაზია სიგრძით 37,27 კილომეტრი და 29 სადგურით. მშენებლობის პროცესშია მესამე ხაზი და უკვე მთავრდება მე-4 ხაზის დაპროექტება. მინსკის მეტრო, გაბრწყინებული ელექტროჩირაღდნებით, როგორც მთელი მინსკიც – გამოიყურება კომფორტულად და სიმყუდროით. მარტო შარშან მგზავრების გადაყვანის საერთო მოცულობამ აქ 328,3 მილიონი კაცი შეადგინა. ბელარუსის მთავრობას განზრახული აქვს „მსუბუქი“, არცთუ ღრმა, მეტროების მშენებლობა ქვეყნის ყველა ოლქში.

საქართველოდან მინსკში ჩასულს თვალში ხვდება ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტიც – დღისით არა მხოლოდ ცენტრში, არამედ ყველგან – მოედნებზე, ქუჩებში ხალხის ჯგუფების არყოფნა. არა მხოლოდ მინსკში, არამედ ქვეყნის სხვა ქალაქებში თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ ხალხმრავლობას, როგორიც საქართველოშია ხოლმე. აქ არაა სადღესასწაულოდ მოხეტიალე ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ქუჩებში იძულებით მოხეტიალე ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, როგორც ჩვენთან საქართველოში. ბელარუსში ყველა საქმითაა დაკავებული. ყველაფერში იგრძნობა – ქვეყანა შრომობს, ქვეყანა მუშაობს! რასაკვირველია, მე მხედველობაში არ მყავს ტურისტები, ძნელი არაა მათი გარჩევა ადგილობრივებისგან.

აი, „ბელსტატის“ 2015 წლის 27 იანვრის ოფიციალური სტატისტიკა, იგი პერიოდულად იბეჭდება პრესაში: ეკონომიკაში დასაქმებულია 4 მილიონ 491,2 ათასი კაცი. დარეგისტრირებული უმუშევარია – 21,2 ათასი კაცი, ესე იგი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 0,5 პროცენტი. ბელარუსში პრაქტიკულად უმუშევრობა არაა. ყველგან უზარმაზარი მოთხოვნაა კადრებზე. აქ სჭირდებათ არა მხოლოდ მუშები – მშენებლები, ტექნიკოსები და ოსტატები, არამედ ინჟინრებიც. ბუხჰალტრებიც, განსაკურებით მედიცინის მუშაკები, ექიმები. მინსკში, მაგალითად, მოთხოვნილება კადრებზე ყოველწლიურად 15-18 პროცენტით იზრდება!

ბუნებრივია, მკითხველს დიდად აინტერესებს მოსახლეობის სოციალური დაცულობა, რომელიც ყოველთვის, რბილად რომ ვთქვათ, მოიკოჭლებს ჩვენთან, საქართველოში. მოქალაქეთა სამედიცინო უზრუნველყოფა – უფასოა როგორც პოლიკლინიკებში, ისე საავადმყოფოებში, თუ განსაკუთრებით რთულ ქირურგიულ ოპერაციებს არ მივიღებთ მხედველობაში. მეორე: ბელარუსის ჯანმრთელობის დაცვა მაღალ ორგანიზაციულ და პროფესიონალურ დონეზეა. აი, მინსკის ქალაქის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის ოფიციალური მონაცემები: ყოველწლიურად დედაქალაქის საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს, დისპანსერებსა და სამედიცინო ცენტრებს დაახლოებით 30 ათასი უცხოეთის მოქალაქე მიმართავს, სამედიცინო მომსახურების ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი კი 20 პროცენტს შეადგენს! დედაქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებებში სამკურნალოდ მსოფლიოს თითქმის 40 სახელმწიფოდან ჩამოდიან, ძირითადად ახლობელი სახელმწიფოებიდან. ამ ნაკადში ბევრი ავადმყოფი საქართველოდანაცაა.

მთელ ბელარუსში სანატორიული მკურნალობის ძალიან დიდი ქსელია, მათი რიცხვი 120-ს აჭარბებს. ჩემთვის კარგადაა ცნობილი ბელარუსის პროფკავშირების სანატორიუმი „ბელარუსოჩკა“. ბელარუსის პროფკავშირების წევრებს სამუშაოზე შეუძლიათ მიიღონ საგზური სანატორიუმებში 25 პროცენტის ფასდაკლებით! საგზურები დიდებულ სანატორიუმ „ბელარუსოჩკაში“, რომელიც ლამაზ საკურორტო ადგილზე „ჟდანოვიჩში“ მდებარეობს მინსკიდან 20 კილომეტრში, წლის დასაწყისშივე იყიდება. აპრილმაისიდან ადგილებს ბელარუსის სანატორიუმებში უკვე ვეღარ იშოვი, ძირითადად მათ რუსეთელები ყიდულობენ. თუმცა სანატორიუმ „ბელარუსოჩკაში“, რომელიც თითქმის 400 კაცზეა გათვალისწინებული, შევხვედრივარ დამსვენებლებს აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, შუა აზიიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, ფინეთიდან, ისრაელიდან, ერთი სიტყვით, ბელარუსის მრავალრიცხოვან ჯანმრთელობის კერებში მათი მომხიბლავი ტბებით, ტყეებით, რისთვისაც ამ ქვეყანას „ევროპის ფილტვები“ უწოდეს, ყოველთვის ანშლაგია! ეს ბელარუსის სახელმწიფო ბიუჯეტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

ბელარუსში საპენსიო ასაკი დაწესებულია ქალებისთვის – 55 წელი, მამაკაცებისთვის – 60 წელი. საშუალო პენსია აქ 241 დოლარს შეადგენს, საშუალო კი ასაკის მიხედვით – 250 დოლარია. მუშაობის სტაჟის, დამსახურების, ჯილდოების გათვალისწინებით, პენსიონერები 300-400 დოლარს ღებულობენ. ეს სამხედროებს არ შეეხება, ვისაც სამოქალაქო პირებთან შედარებით პენსია გაცილებით მეტი აქვთ.

დღეს მინსკელების ხელფასი 700 დოლარს აჭარბებს, სხვა ქალაქებში კი სხვადასხვგვარადაა – 400-დან 600 დოლარამდე. ბელარუსში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საშემოსავლო გადასახადია.

საბავშვო ბაგები, ბაღები, სკოლები ბელარუსში უფასოა... უმაღლესი განათლება სახელმწიფო ანაზღაურებასთან ერთად, ნაწილობრივ ფასიანია. სკოლის მოსწავლეებისათვის ზაფხულის თვეებში ეწყობა საბავშვო გამაჯანსაღებელი ბანაკები. მაგალითად, შარშან ამ ბანაკებში მხოლოდ ქ.მინსკიდან 65 ათასმა სკოლის მოსწავლემ დაისვენა. ბავშვებს სკოლებში, მშრომელთა თანხმობით, ღებულობენ ოქტომბრელებად, პიონერებად, საზოგადოებრივ საწყისზე ფუნქციონირებს ბელარუსის ახალგაზრდობის რესპუბლიკური კავშირი. ზაფხულის პერიოდში ბევრია სტუდენტთა საერთაშორისო ბანაკი, რომლებიც გაშლილია მთელ ბელარუსში, სადაც შეეხვედრივარ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ინგლისიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ჩინეთიდან და ა.შ.

დიდი ყურადღება ეთმობა ომის ვეტერანებს, ომისა, რომელიც ბელარუსებისათვის 1939 წლის 17 სექტემბერს (!) დაიწყო, როდესაც წითელი არმია დღევანდელი დასავლეთი ბელარუსის ტერიტორიაზე შევიდა. საერთოდ ფაშისტურ გერმანიასთან ომის თემა ბელარუსში წმინდაა! ამ ქვეყანაში ყველგან შეხვდებით მოვლილ ძმათა სასაფლაოებს, ყვავილებში რომ არიან ჩაფლული. ასეთი რამ მე არც რუსეთში, არც უკრაინაში არ მინახავს. აქ ბევრ ქართულ გვარსაც აღმოაჩენთ. მამაცი ქართველი მეომრებისა და პარტიზანების სახელებს ბელარუსის რესპუბლიკაში ატარებენ ქუჩები, მოედნები, სკოლები. ბელარუსებს ყოველთვის ახსოვთ თავიანთი გმირები, პატივს მიაგებენ ომში დაღუპულებს. ომის წლებში ბელარუსის ტერიტორიაზე ფაშისტებმა 2 მილიონ 357 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები და სამხედრო ტყვე დახოცეს!

გაცილებით ძვირია, ვიდრე ჩვენთან, საქართველოში მომსახურების სფერო – საპარიკმახეროები, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის კერვისა და რემონტის ატელიები, საათების და ა.შ. სახელოსნოები. ასევე უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენთან, საქალაქო ტრანსპორტი, ეგრეთ წოდებული სამარშრუტო ტაქსები. თავად ტაქსებიც. ფასები პირველი მოთხოვნილების პროდუქტებსა და სამრეწველო საქონელზე მაღაზიებში თითქმის ერთნაირია, ჩვენზე უფრო იაფია ხილის, ბოსტნეულის, მწვანილის გამოკლებით.

და კიდევ რა ეცემა თვალში ჩვენს თანამემამულეს ბელარუსში. ვერც მინსკში, ამ ქვეყნის ვერც სხვა ქალაქებში ვერ შეხვდებით ვერც ერთ გისოსებიან ბინას, ფანჯარას ან აივანს, ვერ ნახავთ გამოფენილ თეთრეულს! აქ არ არის ეს უხეში და ქალაქის დამამახინჯებელი რკინის გარაჟები! ყველა მანქანა – ისინი კი არანაკლებია, ვიდრე საქართველოში – სახლების გარშემო დგანან. ყოველი ავტომფლობელი მანქანას თავისუფალ ადგილზე აყენებს. თანაც ყოველი მრავალსართულიანი სახლის მახლობლად, როგორც წესი, არის ბავშვთა გასართობი მოედანი. ყველა სახლში ცენტრალიზებული ცხელი წყალმომარაგებაა.

დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ბელარუსები თავიანთი ბუნებით გულღია, შრომისმოყვარე, უკონფლიქტო, მომთმენი ადამიანები არიან. ბელარუსები, როგორც ქართველები, ტოლერანტული ხალხია! აქ ყოველწლიურად იმართება ეროვნულ კულტურათა ფესტივალები. შარშან მომიწია ყოფნა ქ.გროდნოში, ეროვნულ კულტურათა X რესპუბლიკურ ფესტივალზე, რომელშიც ტრადიციულად და ყოველთვის დიდი წარმატებით მონაწილეობდა ქართული დიასპორა. ქართველებმა, გარდა ცეცხლოვანი ცეკვებისა და მელოდიური სიმღერებისა, გააოცეს ფეტივალის სტუმრები ორმეტრიანი მოკაზმული ტორტით, საქართველოს გეოგრაფიული რუკის იმიტირებას რომ ახდენდა, ბუნებრივია, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის ჩართვით. ამ ფესტივალზე ქართველები იყვნენ აფხაზებთან და ოსებთან ერთად. ესეც შენი – სახალხო დიპლომატია! და კიდევ ბელარუსის ხალხი, მისი მთავრობა, პირადად ქვეყნის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო დიდი სიმპათიით არიან საქართველოსთან დამოკიდებულებაში, მისი ხალხის მიმართ.

... დღევანდელი ბელარუსი, მიუხედავად მრავალმხრივი სიძნელეებისა და პრობლემებისა, იმედით იმზირება მომავლისაკენ. ხალხი და სახელმწიფო აქ – ერთიანი და მთლიანია. ეს კი ყოველთვის წარმატების საწინდარია!!!

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი
თბილისი-მინსკი

ქართველებმა პატივი მიაგეს საბჭოთა კავშირის გმირის სერგო ჭიღლაძის ხსოვნას სოფელ დუბროვოში.

◎ მოვლენის წინ

თბილისს 50 ქვეყნის დელეგაცია სტუმრობს

2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელ საქართველოს დედაქალაქ თბილისს მომავალი ფორუმის მონაწილე ქვეყნების დელეგაციები სტუმრობენ, რომელთა მიზანიც ინფრასტრუქტურის და მიმდინარე სამუშაოების ადგილზე გაცნობაა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თბილისის მერი დავით ნარმანია და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები 50 ქვეყნის ტექნიკურ დელეგატებს და ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელებს „ექსპო-ჯორჯიაში“ შეხვდნენ, სადაც მიმდინარეობდა თბილისში განხორციელებული თუ განსახორციელებელი პროექტების პრეზენტაცია. ამის შემდეგ სტუმრები ადგილზე გაეცნენ ინფრასტრუქტურას და უახლოეს დღეებში ისინი დადებენ დასკვნას – მზადაა თუ არა თბილისი უმასპინძლოს 2015 წლის ოლიმპიურ ფესტივალს.

„ეს არის გაცილებით მეტი, ვიდრე სპორტული შეჯიბრება. თავისი არსით ის ემთხვევა იმ კურსს, რომელიც გვაქვს გაცხადებული – გავხდეთ ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. საქართველო დიდი ტრადიციების მქონე სპორტული ქვეყანაა. მას აღზრდილი ჰყავს არაერთი სპორტსმენი, რომელთაც არა მხოლოდ ასახელეს საკუთარი სამშობლო, არამედ დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სპორტის განვითარებაში“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ვმასპინძლობთ 50 ქვეყნის დელეგატებს, რომელთაც გავაცნობთ ინფრასტრუქტურას, ვაჩვენებთ ოლიმპიურ სოფელს და გავაცნობთ იმ პირობებს, რომელიც შექმნილი იქნება მათი სპორტსმენებისთვის. ყველაფერი მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით და შეიძლება ითქვას, რომ თბილისი მზადაა ამ ფესტივალს მაღალ დონეზე უმასპინძლოს“ – დაამატა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ჯაბას გაზაფხული

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა 2003 წლის შემდეგ პირველი ჩვენი თანამემამულეა, რომელიც პოპულარული კონტინენტური საკლუბო ტურნირის ნახევარფინალში ითამაშებს.

კახი კალაძის მიერ „მილანში“ გაკვალულ ბილიკს „ჯვაროსანთა“ ნახევარმცველი „დნიპროში“ მიუყვება. წარმატებითაც – უკრაინელებმა ევროპის ლიგის საპასუხო მეოთხედფინალური ბრძოლა ბელგიურ „ბრიუგეს“ შახოვის შორეული გასროლით მოუგეს – 1:0 (პირველი მატჩი 0:0) და პირველად გააღწიეს რჩეულთა კვარტეტში.

დანარჩენი შედეგები: „ფიორენტინა“ – კიევის „დინამო“ 2:0 (გომესი, ვარგასი, 1:1), „ზენიტი“ – „სევილია“ 2:2 (რონდონი, დანი; ბაკა (პენალტით), გამეირო, 1:2), „ნაპოლი“ – „ვოლფსბურგი“ 2:2 (კალეხონი, იგუაინი – პერიშიჩი – 2, 4:1)

7 და 14 მაისს ნახევარფინალში ითამაშებენ: „ნაპოლი“ – „დნიპრო“, „სევილია“ – „ფიორენტინა“.

გიორგი შოთაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

წილი ნაყარია

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:

„ბარსელონა“ – „ბაიერნი“,

„იუვენტუსი“ – „რეალი“.

ამ ეტაპის შეხვედრები 6 და 13 მაისსაა დანიშნული, ხოლო ფინალურ მატჩს 6 ივნისს ბერლინი უმასპინძლებს.

◎ ჭადრაკი

ერთპიროვნულად ვლიდერობთ

ჩინურ ჩენგდუში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 10 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. წარმატებით თამაშობს საქართველოს მანდილოსანთა ნაკრები (დელეგაციის ხელმძღვანელი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, გუნდის წევრები: ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, კაპიტანი დავით ჯოჯუა, მწვრთნელი ელიზბარ უბილავა), რომელიც პირველ ტურში რუსეთის ნაკრებს დაუზავდა, შემდეგ ზედიზედ დაამარცხა ეგვიპტე – 4:0, პოლონეთი – 2.5:1.5, ყაზახეთი – 3:1. მე-5 ტურში ჩვენმა ქალებმა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ უკრაინას აჯობეს 2,5:1,5. დაზავდნენ ლელა ჯავახიშვილი და მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი მარია მუზიჩუკი, ნინო ბაციაშვილი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ანა უშენინა, ევროპის ორგზის პრიზიორი სალომე მელია და კონტინენტის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა. საქართველოს ნაკრებს მომგებიანი ქულა მოუტანა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც თეთრი ფიგურებით ანა მუზიჩუკი დაჯაბნა. ხოტენაშვილი ბრწყინვალედ თამაშობს პირველ დაფაზე – ხუთი შეხვედრიდან 4,5 (!) ქულა აართვა მეტოქეებს.

ხუთი ტურის შემდეგ: საქართველო – 9 (14), რუსეთი-8 (13,5), ჩინეთი – 7 (13), სომხეთი – 6 (10,5), უკრაინა – 5 (10,5), ინდოეთი – 4 (10), აშშ-4 (9), ყაზახეთი – 4(8), პოლონეთი – 3(9,5), ეგვიპტე – 0 (2) ქულა.

ტურნირის მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს მე-6 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ინდოეთი-ეგვიპტე, პოლონეთი-რუსეთი, ყაზახეთი-ჩინეთი, უკრაინა-სომხეთი, **აშშ-საქართველო.**

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ნადალი მეოთხედფინალში ვერ გავიდა

მსოფლიო კლასიფიკაციის მეოთხე ნომერმა რაფა ნადალმა ბარსელონას Barcelona Open Banc Sabadell-ის მესამე წრეში იტალიელ ფაბიო ფონინისთან 4:6, 6:7 წააგო. ფონინიმ გრუნტისსაფარიან კორტზე ზედიზედ მეორედ მოახერხა ნადალის ძლევა. ფაბიოს გარდა, რაფა ამ საფარის კორტზე ორჯერ და მეტჯერ მხოლოდ დავიდ ფერერს (2), როჯერ ფედერერს (2), გასტონ გაუდიოს (3) და ნოვაკ ჯოკოვიჩს (5) დაუმარცხებიათ.

ფონინისა და ნადალის აღნიშნულმა პაექრობამ 2 საათს გასტანა. რეიტინგსიაში მეცამეტე ადგილზე მყოფი 27 წლის იტალიელის აქტივში 4 ბრეიკი და ერთიც ეისია. რაფასა და ფაბიოს პირადი შეხვედრების ანგარიში 4:2 გახდა მალიორკელის სასარგებლოდ.

კატალონიური ტურნირის მეოთხედფინალში ფონინი კიდევ ერთ ესპანელს პაბლო ანდუხარს დაუპირისპირდება.

ბარსელონას Barcelona Open BancSabadell – Trofeo Conde de Godó-ის წლევანდელი გათამაშების საპრიზო ფონდი 2 265 235 დოლარია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ვაკანსიები შეივსო

გამოვლინდა საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის უკანასკნელი ორი მონაწილე. მაშ ასე, 15 მაისს მადრიდში ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან „რეალი“ – „ფენერბახჩე“ და ცსკა – „ოლიმპიაკოსი“.

მომავალი ცხარე ბატალიების მასპინძლებმა მეოთხედფინალური სერიის გადამწყვეტი ბრძოლა სტამბოლში „ეფეს პილსენს“ დამაჯერებლად მოუგეს – 76:63 და საერთო გამარჯვებაც მოიპოვეს – 3:1.

გაცილებით საინტერესოდ განვითარდა მოვლენები პირეოსში, სადაც ბერძნულმა გრანდმა პრინტეზისის მიერ უკანასკნელ წამზე ჩაგდებული სამქულიანით კატალონიური „ბარსელონა“ დააშამათა – 71:68 (სერიის ანგარიში 3:1) და სპორტულ სამყაროს შესაძლო „ელ კლასიკოთი“ ტრფობის ვარიანტი მოუსპო.

სტუმრები მთელი სამი პერიოდის განმავლობაში წინ იყვნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც სპანულისი, მანცარისი და პრინტეზისი გამოფხიზლდნენ, ელადელები ინიციატივას დაეუფლნენ და იძალეს კიდეც.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მარადონამ ცოლთან შერიგება არ გამორიცხა

როდესაც დიეგო მარადონაზე ვწერთ, გული სულ მის მიერ ნათამაშები სასწაულებრივი ფეხბურთის აღწერას და განხილვას ითხოვს, მაგრამ დღეს მარადონა უკვე ვეტერანი ფეხბურთელის სტატუსით სარგებლობს და მის შესახებ მხოლოდ პირადი სკანდალებიღა აინტერესებს ბულვარულ მედიას.



მას შემდეგ, რაც მარადონა თავის ცოლს კლაუდიას გაშორდა, პუტკუნა არგენტინელმა იმდენი საყვარელი გამოიცვალა, მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა სტატისტიკის სამსახურსაც კი გაუჭირდება. ფაქტი კი ისაა, რომ დონ დიეგო დიდი ხნით ვერც ერთ ქალს ვერ გუობს და ყველას მალე შორდება ხოლმე.

ამ რამდენიმე დღის წინათ დიეგო მარადონამ არგენტინელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყოფილ ცოლთან საკმაოდ თბილი და კარგი ურთიერთობა აქვს და არც ისაა გამორიცხული, რომ დადგება დრო, როდესაც ძველ ოჯახს დაუბრუნდება და ცოლს შეურიგდება. რაც დიეგო და კლაუდია გაშორებულები და შერიგებულები არიან, უზარმაზარი რომანი დაიწერება ამ ისტორიებზე.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ თოქ-შოუ ავტობუსში

გაქირი

გუშინ „მარშრუტკაში“ ჩემდაუნებურად ორი ქალბატონის თოქ-შოუს მოწმე გავხდი.

— გაიგე, ქალო, რა ხდება? — გადაულაპარაკა ბიჭურად შეკრეჭილმა კაფანდარა ქალბატონმა გვერდით მჯდომ ფაშფაშას.

— რაო, ივანიშვილმა ისევ უკბინა მარგველაშვილს?

— არა, სხვა რამეს გეუბნები. არ უყურე, გუშინ ჩვენმა გაბღენძილმა პრეზიდენტმა როგორი მედიდური იერით მიიღო თავის საბრძანებელში ლუკაშენკო?

— რატომაც არა, გენაცვალე, ამხელა სასახლე ჩაიგდო მუქთად და აღარც გაიბღინძოს?

— ლუკაშენკო გადარეულა, უთქვამს — ბელარუსში რომ დავბრუნდები, მთლად ამნაირს თუ ვერ გავწვდები, ამის ნახევარი მაინც ჩემთვისაც უნდა ავიშენოო.

— აიშენოს მერე, ვინ დაუშალა? მე თუ მკითხავ, რაცა აქვს, მაგისთვის ეგეც ზედმეტია.

— რატო, ქალო, — აიბზუა ტუჩი კაფანდარამ — იმხელა სახელმწიფოს მეთაურს, ჩვენხელა ქვეყნის სადარი სასახლეც აღარ ეკუთვნის?



— ქვეყანა კი აქვს დიდი, მაგრამ თავადაც რომ იმაზე დიდი დიქტატორია?

— მიშა, რა ნაკლები დიქტატორი იყო, ამხელა სასახლე რომ წამოიჭიმა?

— ეგ ჩვენ ვიცოდით, რომ დიქტატორი იყო, თორემ...

— თორემ რა, — გააწყვეტინა თანამოსაუბრემ, — შენი აზრით, კიდევ ვის უნდა სცოდნოდა?

— აი, თუნდაც სენატორ მაკკეინს ამერიკაში და მისნაირებს ევროპაში, ვერ ხედავ, მათ სააკაშვილი დღესაც უდიდეს დემოკრატად და რეფორმატორად მიაჩნიათ.

— მოიცა, მოიცა — ხმას აუწია ფაშფაშამ, — გინდა თქვა, რომ სააკაშვილთან ერთად მარგველაშვილიც დიდი დემოკრატია?

— მე რა უნდა ვთქვა, გენაცვალე, ამას თავად ნაცები ლაპარაკობენ.

— გაჩუმდი ერთი თუ ქალი ხარ. ეგ თუ მართლა დემოკრატია, ვიდრე ავირჩევდით, თავს პლასტელინად რატომ გვასაღებდა?

— აბა რა გითხრა, ჩემო კარგო, ფილოსოფოსი კაცია და ღრმააზროვანი ლაპარაკი უყვარს. რა იცი, ხომ შეიძლება იმ პლასტელინობაში სულაც დემოკრატობას გულისხმობდა?

— გინდა დამარწმუნო, რომ გაპრეზიდენტებამდე პლასტელინად მონათლული მარგველაშვილი ახლა ერთბაშად გაფოლადდა?

— ფოლადი რა შუაშია, ქალო, განვლილ პერიოდში უბრალოდ საკუთარი თავისა და პრეზიდენტის ღირსების დაცვა ისწავლა.

— დედუ! გადამრევს ეს ქალი, — იჩქმიტა მარჯვენა ბარძაყზე ფაშფაშამ, — გამაგებინე, ქალბატონო, ვისგან იცავს თავს მარგველაშვილი, იმ კაცისგან, ვინც ხალხს მისი პრეზიდენტად არჩევა დაგვაძალა?

— ეგრეა, ივანიშვილმა მაშინ ჩვენ დაგვაძალა, ახლა კიდევ თავად მარგველაშვილს აძალებს სასახლის ნებაყოფლობით დატოვებას.

— და ისიც გაქირს ეწევა, რომ არავინ თქვას, სასახლიდან გამოაგდესო, არა?

— შენ გაქირი დაარქვი, თავად ჰგონია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის ღირსებას იცავს.

— ახლა გაუხდა ეს სასახლე ღირსეული? რატო მაშინ არ ეგონა ღირსეული, როცა აცხადებდა სააკაშვილის ნარეზიდენციალი ბოროტებისა და გარყვნილების ბუდეა და ცოცხალი თავით მე იქ შემსვლელი არა ვარო!

— რა გიკვირს, პოლიტიკოსებისთვის ტყუილი ბაქიბუქი ჩვეულებრივი ამბავია. მარგველაშვილი ამ საქმეში არც პირველია და არც უკანასკნელი.

— კი მაგრამ, ამხელა სასახლეში რო გაფოფრილა, იმას მაინც ხომ უნდა მიხვდეს, რომ რეზიდენციის შესანახი მილიონები მის პრეზიდენტად ამრჩევ დამშეულ ხალხს აუტანელ ხარკად აწვება?

— ეგ ოჯახაშენებული ამხელა ფართობს თუ ვერ იყენებს, გააქირაოს მაინც და ამოღებული თანხით უპოვნელებს დაეხმაროს, — მიეხმარა მოკამათე ქალებს სალონის ბოლოდან სათვალიანი მამაკაცი.

— რა უნდა გააქირაოს, ძმაო, სააკაშვილთან შეთანხმებულია, ხელისუფლებაში უკან რომ მობრუნდება, სასახლე ხელუხლებელი დაახვედროს, — „გააიასნა“ მეორემ.

— აუ, აღარ შემიძლია ამდენის ატანა, — აყვირდა წინა სავარძლიდან მესამე, — შინ გრიგოლია-გაბუნიას ტელეშოუებმა წაიღეს ტვინი და აქ კიდევ ამათმა ყბედობამ.

კაფანდარა ქალბატონს, როგორც ჩანს, ცუდად ენიშნა მგზავრთა რეპლიკები, მძღოლს მანქანის გაჩერება სთხოვა და „მარშრუტკიდან“ ფაცხაფუცხით ჩავიდა.

— მაგ ქალის ფულს თქვენ გადაიხდით, ქალბატონო? — ჰკითხა მძღოლმა ფაშფაშას.

— მე რატომ?

— რა ვიცი, მთელი გზა კამათობდით და...

— პრეზიდენტის სასახლეზე ვკამათობდით, ჩემსაზე ხომ არა. გზაში რამდენი ვინმე „დამეთოქშოუება“, იმათ მაგიერ მე ხომ არ გადავიხდი?

— დამღუპეს ამ ნაცებმა და ქოცებმა, — აბუზღუნდა მძღოლი, — მაგათ ქვეყანა ერთმანეთში ვერ გაუყვიათ და რა ჩემი გადასახდელია?!

ოტია ჩართოლანი

გახსენება

„ვინც კი ვინმემ ჩაუშვაო, ჯიმიმ ყველა გაუშვაო“...

პურობა...

აგრე სჩვეოდა ქართული სუფრის მოხსენიება მის ერთ-ერთ გურმანსა და შემოქმედს **ჯიმი მიქელაძეს**...

ჰოდა, თუ სადმე სუფრაზე მოვხვდებოდით:

ხომ იცი, ჩემი სისხლი და ხორცი ხარ (ბებია ჰყავდა მხეიძის ქალი), მეტყოდა ხოლმე და თავის გვერდით მიმიჩენდა ადგილს...

სალხინო პურობებს კი, გაგიხარია, თითქოს მიზეზს ეძებდაო, ხშირად მართავდა ამ საქმის კიდევ ერთი დიდოსტატი, ცხონებული ოთარ (წიკე) აბდუშელიშვილი რესტორან „ოდიშსა“ თუ საკუთარ სახლში და მართალია, ბატონი ჯიმის ვაჟთან, ხათო მიქელაძესთან ჯეელობიდან ვძმაკაცობ, მამამისს პირადად რატომღაც არ ვიცნობდი და სწორედ ოთარ აბდუშელიშვილის პურობაზე გავიცანი ბატონი ჯიმი, საიდანაც დაიწყო კიდეც ჩვენი მამაშვილური მეგობრობა თუ მეგობრული მამაშვილობა...

„ვინც კი ვინმემ ჩაუშვაო, ჯიმიმ ყველა გაუშვაო“...

ხუმრობაგაშვებით ლექსად გამოთქვა მილიციის გენერალ-ლეიტენანტის კაცურკაცობა მისმა მეგობარმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა და მართლაც, ყველას გაშვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, როგორც ვიცი, თუ რაიმე საშველი იყო, ჯიმი მიქელაძეს, ნაცნობ-უცნობი ახალგაზრდა შემთხვევით ძე-შეცდომილთათვის გზები არასოდეს გაუმრუდებია...

საკუთარი დიდი სამეგობროს გულმა და სულმა მოგონებების ორი წიგნიც დატოვა. ოღონდ ეს ჩვენი დღევანდელობის ის სამწუხარო რეალობა არ არის, როცა, ვისაც ფული აქვს და არ ეზარება, ყველანი წიგნებს წერენ და გამოსცემენ — და მართლაც, „მეგობართა პორტრეტებიდან“ თუ „წარსულის ღია ფანჯრებიდან“, დახვეწილი იუმორით შეზავებული თავანკარა ქართულით იღვრება ჩვენი შორეული თუ უახლესი წარსულის საინტერესო ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიპეტიები, რომლებიც სახელოვან წინაპართაგან სმენია, ანდა, რომელთა მოწმეც და ხშირად აქტიური მონაწილეც თავად ბრძანდებოდა ბატონი ჯიმი მიქელაძე!..

მისი 75 წლის იუბილე, როგორღაც გამომეპარა და შევპირდი, რაღა 80 წლისთავს ვუცადო, 77 წელს, ბიბლიურ ციფრთა თარიღს მოგილოცავ-მეთქი და მართლაც, შარშანწინ ამავე გაზეთით მივულოცე, როგორც აღმოჩნდა მისთვის უკანასკნელი დაბადების დღე!

მუდამ სუფთად პირგაპარსული, დენდივით ჩაცმულ-დახურული ქართველი მამულიშვილი, ნაღდი ქალაქელი კაცი, ასეთად შემორჩა მეხსიერებას ჯიმი მიქელაძე, ვისი გარდაცვალების ამბავი აჭარაში შევიტყვე, ბათუმში, სადაც წლების მანძილზე იმსახურა ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრის პოსტზე!..

გივი სიხარულიძის საიუბილეო ბანკეტზე შეკრებილმა აჭარის ელიტურმა საზოგადოებამ გულწრფელი სინანულით ერთხმად შესვა ჯიმი მიქელაძის შესანდობარი...

26 აპრილს წელიწადი შესრულდება, რაც ჯიმი მიქელაძის სული ზეციურ საქართველოში წინაპართა სულებს შეუერთდა.

ღმერთმა იქ გაცხონოს და აქ დანატოვარი ნაგრამი გიმრავლოს, ბატონო ჯიმი...

დათო მხეიძე

◎ წკეპლიკა

ნაცებო, მისამართი შეგეშალათ!

ნაცებო, გილოცავთ, ანტიკორუფციული ორგანიზაცია შეგიქმნიათ, კორუფცია უნდა ვამხილოთო! ვინ, ვინ იკვლევს ამას, თქვენ? მისამართი შეგეშალათ! თქვენი კორუფციული და სხვა „გმირული“ საქმეები გაიხსენეთ. ღირდა კი ამდენი კვერცხის მტვრევა თქვენს თავზე? ვინ აუნაზღაურებს ხარჯს მოსახლეობას? თქვე უსაქმურებო, ბოღმით სავსენო, ქვეყნის მოღალატენო!

ლონდა მდივანი

განცხადება

ამა წლის 12 მაისს, 17 საათზე გაიმართება სს თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის საანგარიშო კრება. სააღრიცხვო დღე 23 აპრილი.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას №47

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის წლიური ანგარიში;
2. სხვადასხვა.

სს თ. ცეცხლაძის სახელობის №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დირექცია.

მეგობრის ხსოვნას

ჯემალ კვაჭანტირაძე

ჩვენო **ჯემალ**, აგერ უკვე 40 დღეც გაგვიფრინდა უშენოდ, ყველას გული დაგვწყვიტე, — ოჯახს, შვილებს, მეგობრებს და მრავალ კოლეგას!

ჯემალ კვაჭანტირაძე დაიბადა 1939 წლის 10 იანვარს თბილისში. 1955-59 წლებში პირნათლად მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1959 წელს სწავლას აგრძელებს საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და წარმატებით ამთავრებს ეკონომიკურ ფაკულტეტს. 1964 წლიდან განაწილებით მუშაობს თბილისის „მშენბანკში“, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ბრწყინვალე მუშაკმა. 1973 წელს აწინაურებენ რესპუბლიკის ერთ-ერთ მძლავრ-წამყვან ორგანიზაცია „საქმთავარენერგოში“, შრომისა და ხელფასის ჯერ განყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ ამ ოცდათასიანი კოლექტივის ფრიად საპასუხისმგებლო განყოფილების უფროსად. აღსანიშნავია, რომ 1976 წლიდან შრომისა და ხელფასის სისტემა გადადის ანაზღაურების ახალ, თანამედროვე მეთოდზე, რაც ბატონი ჯემალის ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა, რისთვისაც იგი სათანადოდ დააჯილდოვეს და ფულადი პრემიაც უბოძეს, შემდგომში მას მუშაობა მოუწია რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ ენერგოობიექტზე „თბილსრესში“.

ბატონი ჯემალი გამოირჩეოდა დიდი ადამიანური სიკეთით, იყო უაღრესად განათლებული და თავისი საქმის მაღალი დონის სპეციალისტი. სადაც კი იმუშავა, ყველგან დატოვა სიყვარული და ლამაზი კვალი. მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო და მადლობა, მინიჭებული ჰქონდა ელექტროენერგეტიკის დამსახურებული მუშაკის მეტად საპატიო წოდება.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მწუხარებით მივუსამძიმროთ მის ოჯახს, ძვირფას შვილებს — აკაკის, მაკას და ზურაბ კვაჭანტირაძეებს, აგრეთვე შვილიშვლებს — საყვარელი ადამიანის — მეუღლის, მამის და ბაბუის გარდაცვალების გამო.

მშვიდობით, ჩვენო ჯემალ, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა, რომელიც შენ ასე ვაჟკაცურად და გულით გიყვარდა.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი, მეგობრები.

შპს „გზამშენპროექტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის ცნობილი ინჟინერი, ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, შესანიშნავი პიროვნება და მეგობარი, კოლეგა

ვალერი ბურდული

და თანაგრძნობას უცხადებენ ძვირფას ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

293-37-87;

568 82-09-84.

მაჩაბლის ქ. №7.

◎ დღესასწაული

კეთილმორწმუნე დიდი მეფე თამარი, საქართველოს მნათობი

მენელსაცხებლეთა დედათა კვირა

26 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მენელსაცხებლეთა დედათა კვირას. ასეთ დედებად კი იხსენიებს მარიამ მაგდანელის, მარიამ კლეოპას, სალომეს, იოანას, მართას და კეთილმორწმუნე, — ქართველთა მეფეს — ბაგრატიონთა შორის გამორჩეულ გვირგვინოსანს „მზეთა მზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდედთა უმეტესად აღმობრწყინებულად წოდებულ, საქართველოს მნათობს თამარს.

ღვთივკურთხეული თამარ მეფის ცხოვრება მართლაც მენელსაცხებლეთა დედათა ღვაწლს ემსგავსებოდა. რა არ უკეთებია მეფე თამარს ქართველებისთვის, საქართველოსთვის! საქართველოს სახელმწიფოს მმართველი ქალი — ხელმწიფე, სულიერად მუდამ ქრისტესთან იმყოფებოდა. დღისით სახელმწიფო საქმეებს განაგებდა, შემდგომ კი დაუსრულებელ ღამეებს უძილოდ ატარებდა ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოყრილი, საქართველოსთვის „ლოცვად დამდგარი“.

საგულისხმოა, რომ არც ერთ მონარქს ერის ისტორიაში არ დაუტოვებია ისეთი ღრმა და შთამბეჭდავი კვალი, როგორიც მეფე თამარმა დატოვა.

საქართველოში მრავალი ლეგენდაა შემორჩენილი „ქართველთა ლამაზ დედაზე“...

აი, რას ამბობს იაკობ გოგებაშვილი: „ქართველობას თამარი ისე ცხადად უდგას თვალწინ და ისე ადიდებს მას, თითქოს იგი გუშინ ყოფილიყოს მისი მბრძანებელიო“...

აღსანიშნავია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II მიერ შესრულებული თამარ მეფის ფრესკა ამშვენებს დიდუბის მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთ კედელს.

გიული ლიპარტია

P. S. მეფე თამარის მოსახელეთ თამარობას ვუ-ლოცავთ „გული გონიერის“ ქონას ვუსურვებთ!

სკანვორდი

ბიძინა, ... და ელიზბარი
„დიდოსტატის მარგვანის“ პერსონაჟი
ტოსკანინის სახელი
სექტემბრის ქვ. სახელი
... აფლეკი
სასჯელის შემსუბუქება
თენგიზ არჩვაძე ფილმში „მეზეიდრა ...“
მუსიკოსი ... ადამსი
„ცხვრის ნყაროს“ პერსონაჟი
... პუსი
კომოდს აქვს
... ფიცჯერალდ კენედი
ზნატვარი ამადეო
მამალი თხა
სოსელო, კობა და ...
ნინოშვილის მოთხრობა
ქველინგლისური ფული
ამერიკელი ტელეგრაფისტი
მიუზიკლი „ნორდ ...“
საქართველოს ისტ. მტერი
კაცის სახელი
თევზი ძმარში
გულგარეთშია
ეპიკური პოეზიის მუზა
ნვიმის ქველქართული ღვთაება
ერთგვარი მნვანილი
საგნის უკულმა გამოსახულება ფირზე
თინათინის სატრფო
თავად
ტყის ავსული
მამაკაცური სანყისი ფილოსოფიაში
ფრანგული საპარფ. ფირმა
ცხიმოვანი სიმსივნე
თერძის საქმიანობა
ნარკოტიკი
ადოლფ ...
გაგირი
... გადურავშვილი
სასიმღერო ხმა
„ჯიხვი ძარაფზე ...“
ზღვის კომბოსტო
კაბის შენაკადი
... მონტანი
... ილიესკუ
... ეკალაძე
ბავშვთა დაავადება
აღალი
... ლაუდა
„მაცივრში ... იჯდა“
მტკვრის შენაკადი
სამკითხაო ქვიშა
ქართული ფოლკლორ ანსამბლი
ფასიანი ქაღალდების გეჭდვა

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84..

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ზოოლოგიის გაკვეთილზე:

— ბავშვებო, რატომ აქვს გორილას ასეთი ფართო ნესტოები?

მიხო ადგილიდან წამოიძახებს:

— მასწ, აბა რა გორილას ბრალია, რომ ამხელა თითები აქვს!

* * *

— **აი**, ბატონო, ამ აბებს დილა-საღამოთი დალევთ და ყველა თქვენი სნეულება გადაგავიწყდებათ!

— ჰო... აი, ერთი სკლეროზიღა მაკლდა!

* * *

ჟიჟიკია. ეკითხება პუჭუჭიას:

— აბა, თუ იცი, ღორის გრიპი შეიძლება კოცნით გადაედოს კაცს?

— გაგიჟდი, ბიჭო? ვის გაუგია ღორებთან კოცნაობა?!.

* * *

ორი ქერათმიანი ლამაზმანი ხუმრობს:

— იცი, ხეოფსის პირამიდას სამჯერ რომ შემოუარო, აუცილებლად კარგად გათხოვდები.

— მერედა დარწმუნებული ხარ, რომ ეგ ხეოფსია თუ ვიღაცა, აუცილებლად შეგირთავს ცოლად?

* * *

როცა ქალი თავზე ხელს გისვამს, ეს მოფერება არ გეგონოს. ამით იგი უბრალოდ ამოწმებს, რომელ მხარეს უნდა დაატრიალოს ეგ შენი ბეხრეკა, რომ მოგაძროს.

* * *

— **ეძიმო**, კიდევ 50 წელს ვიცოცხლებ?

— რა გითხრათ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ხშირად ქეიფობთ?

— არა.

— თამბაქოს ეწევით?

— არა.

— ქალებს ხვდებით?

— არა.

— ჰმ, ერთი ეს მიბრძანეთ, თუ შეიძლება: თუ ამას არაფერს არ აკეთებთ, რა ჯანდაბად გინდათ, კიდევ 50 წელი რომ იცოცხლოთ?!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24